ბიბლიოთეკა
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.
წელიწადი მესამ

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პრო-სპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 182 პარასკევი 10 აგვისტო, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 100,000 მან.
№ 182

დღიური

— ფრანგები აძლიერებენ რეპრესიებს ოკუპაციით დაპყრობილ ოლქებში.

— ნეიტრალურ სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ პროტესტი მაგანაცხადონ საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ გერმანიის მიმართ.

— ირლანდიაში არეულობა დაიწყო,

— საფრანგეთის რკინისგზელების კონგრესმა დაადგინა შეუერთდეს პროფინტერნს.

— გერმანიის სოციალ-დემოკრატების ნაწილი მოითხოვს კომუნისტებთან თანამშრომლობას.

— რურის ოლქში ტერორისტული აქტები ოკუპანტების წინააღმდეგ გრძელდება.

ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა.

ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიურო,

რომელიც არჩეულია ტფილისში, ქუთაისში და ოზურგეთში გამართულ კონფერენციებზე,

აცხადებს ყველა ადგილობრივ საინიციატივო ბიუროების საყურადღებოთ, რომ **ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა მოწვეული იქნება ტფილისში 22 აგვისტოს.**

დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

საინიციატივო ბიუროები ყველა ადგილებიდან, სადაც კონფერენციები გაიმართა, უნდა გამოცხადდნენ სათანადო მასალებით და დელეგატების სიებით 21 აგვისტოს არჩეულ დელეგატების სწორი რიცხვის გამოსარკვევად და ყრილობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საორგანიზაციო ხასიათის საკითხების გადასაჭრელად.

იმ ადგილებმა, სადაც კონფერენციები არ დამთავრებულა, უნდა დააჩქარონ, რათა აღნიშნულ ვადაზე წარმოგზავნონ დელეგატები.

საინიციატივო ბიურო: ა. ფარნიევი. ჟუმბურიძე, შენგელია, რუხაძე, კაპიტანჯიანი, სიხარულიძე, ლუკაშევიჩი, ძოწიძე, თედოშვილი, ვაჟარაძე, გნოევოი, ალიხანოვი. მიკირტუმოვი, ლოლობერიძე.

ადგილობრივი ფინანსები

I.

ადგილობრივ ორგანოთა საბიუჯეტო უფლებები იმდენათ დაკავშირებულია სახელმწიფოს საბიუჯეტო უფლებებთან, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა არევ-დარევას გამოიწვევს კომუნალური ფინანსიური სისტემა შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფოს ფინანსიურ სისტემასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლოა ერთი ჯგუფის ზედმეტი დაბეგვრა სახელმწიფოსა და ადგილობრივ ორგანოს მიერ იმ დროს, როდესაც მეორე ჯგუფი სრულიად არ იქნება ან ნაკლებ იქნება დაბეგრილი. ამიტომ ადგილობრივ ორგანოთა საბიუჯეტო უფლება განხილულ უნდა იქნას სახელმწიფო ფინანსიურ საზოგადო სისტემის თანახმად.

სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოს საბიუჯეტო უფლების საფუძველი უნდა ვეძიოთ ამ ორი ორგანიზაციის მოღვაწეობის ხასიათსა და მასშტაბში.

გერმანელი ფინანსისტი პროფ. ადოლფ ვაგნერი იმ აზრისა არის, რომ სახელმწიფოს და კომუნის მოღვაწეობა ერთი მეორისაგან განსხვავდება არა თვისებით, არამედ რაოდენობით. ის არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ადგილობრივი ორგანო მხოლოდ ეკონომიური ორგანიზაცია არის, სახელმწიფო კი პოლიტიკური. ვაგნერის აზრით, ადგილობრივ ორგანოსა და სახელმწიფოს შორის მოვალეობათა განაწილებას შემთხვევითი ხასიათი აქვს და დამოკიდებულია ისტორიულ მომენტზე, რომელიც უკარნახებს მოვალეობათა განაწილებას იმის მიხედვით, თუ რამდენათ მოსახერხებელია ამა თუ იმ მოვალეობის დაკისრება სახელმწიფოსა ან კომუნაზედ.

ყველაზედ მეტად მართალია ეს შეხედულება ჩვენს დღევანდელს პირობებში, როდესაც ადგილობრივი ორგანო სახელმწიფოს მოვალეობას და ფუნქციებს ასრულებს. ამიტომ ადგილობრივ ორგანოს ფინანსიური სისტემა—ამბობს ვაგნერი პრინციპიალურად არ უნდა განსხვავდებოდეს სახელმწიფოს ფინანსიურ სისტემიდან.

ადგილობრივ ორგანოთა საბიუჯეტო უფლებების განხილვის დროს უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში იმ მოვალეობათ, რაც დაკისრებული აქვს მას ისტორიული მომენტით, მის მოღვაწეობის ხასიათსა და ბუნებას.

ადგილობრივ მეურნეობის და ადგილობრივ მმართველობის მოწესრიგება და წარმოება—აი ის მოვალეობანი, რომელიც დააკისრა დღევანდელმა მომენტმა ადგილობრივ ორგანოს. მან უნდა იუფლოს—როგორც მმართველმა და შექმნას ღირებულება—როგორც მეურნემ.

ადგილობრივ ორგანოს მეურნეობა არსებითად განსხვავდება კერძო პირის მეურნეობიდან. კერძო პირის მეურნეობის ერთად ერთი მამოძრავებელი მომენტი ეკონომიური ინტერესია, ეგრედ წოდებული „ეკონომიური ეგოიზმი". მას საზოგადო ინტერესები, საზოგადო მდგომარეობის გაუმჯობესება არა აქვს მიზნად. საზოგადოების საჭიროებანი მას იმდენათ აინტერესებს, რამდენადაც ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებიდან ის სარგებლობას ნახავს. საზოგადოებრივ, ადგილობრივ ორგანოთა მეურნეობას კი თან სდევს ეთიური პრინციპი, მას მიზნათა აქვს საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მოსახმარ საქონლის და განსაკუთრებით სურსათსანოვაგის გაიაფება და გაჯანსაღება. თუ ადგილობრივ ორგანოთა სამეურნეო მოღვაწეობას ასეთი მიზნები აქვს დასახული, მაშასადამე მას ჰქონია უაღრესად სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

თუ ადგილობრივ მეურნეობას ეს ძირითადი თვისება დაეკარგა—იგი საზოგადოებრივ მეურნეობათ აღარ ჩაითვლება და კერძო პირის მეურნეობისაგან არაფრით აღარ განსხვავდება ეს ძველმა მუნიციპალურმა მოღვაწეებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ ისინი სრულიად შეგნებულად ცდილობდნენ ადგილობრივ თვითმმართველობის ხარჯების დასაფარავათ საჭირო თანხა ამოეწურათ მცხოვრებლებთაგან არაპირდაპირი გადასახადის სახით, მუნიციპალურ წარმოებათა შემოსავლის გადიდებით, რომ მით შეაძლებელი გაეხადათ მესაკუთრეთა განთავისუფლება დიდი პირდაპირი გადასახადებიდან. თუ წყლის, საქონლის დაკვლის ფასი, ტრამვაის ტარიფი დიდი იქნებოდა და თვითმმართველობის მოთხოვნილებანი ამ გზით დაკმაყოფილებულ იქნებოდნენ, სახლებზე და ვაჭრობაზე გადასახადის გადიდება საჭირო აღარ იყო. აი ამ მოსაზრებით ხმოსნების დიდი ნაწილი სრულიად შეგნებულად ადიდებდა წარმოებათა შემოსავალს და მუნიციპალურ წარმოებათა სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა საკუთარ ინტერესების მსხვერპლად მიჰქონდა. აი რას ამბობს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს 1902 წლის ოფიციალური ანგარიში: „ქალაქის საბჭოებს ეშინიათ ბინის მოქირავენი ხმოსნებათ არ გახდენ... ...საბჭოს დღევანდელი შემადგენლობა თავისებურ დაღს ასვამს ქალაქის წარმოებათაც. მაგალითად, სასაკლაოს; იქ დიდ ფასებს აწესებენ საქონლის დაკვლაზე და ხორცს ხელოვნურად აძვირებენ; დიდი ფასი ხორცზე არაპირდაპირი გადასახადია მცხოვრებლებზე გაწერილი, სამაგიეროთ შესაძლებლობას აძლევს ცენზიან ხმოსნებს აღარ მოუმატონ შეფასების კვალობაზედ გადასახადს".

ესეთი მიმართულება ძველი ცენზიანი საბჭოსი ისეთი ცხადი და უტიფარი იყო, რომ მას ყურადღება მიაქცია და თავის ანგარიშში აღნიშნა ისეთმა რეაქციონურმა დაწესებულებამ, როგორიც იყო ყოფილ რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო საბჭო.

ამ გვარად ადგილობრივ მეურნეობის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია და იგი, სანამ შესაძლებელია, ადგილობრივ მეურნეობის მოღვაწეობის მთავარი იმპულსი უნდა იყოს და იქნება კიდეც.

თუ ადგილობრივ მეურნეობის მოღვაწეობას ასეთი ხასიათი აქვს, თუ ის ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზედ, მიზნად აქვს გაადვილოს ცხოვრება, გააუმჯობესოს მდგომარეობა, გააიაფოს და გააჯანსაღოს მოსახმარი საქონელი, საზოგადოებამაც ამ მოღვაწეობაში ხელი უნდა შეუწყოს და შეუქმნას ადგილობრივ ორგანოს მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარეობს თვითეული მოქალაქის მოვალეობა—მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოღვაწეობის აღორძინება—განვითარებაში, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა თვითონ რაიმე სარგებლობას ამ მოღვაწეობიდან. ხოლო, რადგან ადგილობრივ ორგანოს მოღვაწეობა განისაზღვრება ადგილობრივ მმართველობით და ადგილობრივ მეურნეობით, ამიტომ მოქალაქე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა, როგორც მმართველობაზედ გაწეულ ხარჯებში, ისე მის სამეურნეო ხარჯებში.

მაშასადამე ადგილობრივ ორგანოს ფინანსიურ სისტემაში მთავარი მნიშვნელობა მოქალაქის „ხარჯგადახდის უნარიანობას" აქვს, რადგან მან ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ უნდა გაიღოს ის, რის გაღებაც მას შეუძლიან. მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივ ორგანოს მეურნეობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს „ინტერესს", თუ კერძო მეურნეობაში თანაბარი ღირებულების გაცვლა-გამოცვლას შედეგათ „ეკონომიური ეგოიზმის" დაკმაყოფილება მოსდევს. ადგილობრივ ორგანოთა სამეურნეო მოღვაწეობაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს „სამსახურ-სამაგიეროს" პრინციპს (услуга-возмездие). აი ამ ორი პრინციპის—ხარჯ გადახდის უნარიანობის და სამსახურ-სამაგიეროს საფუძვლების შეთანხმება და თანაბარი სარგებლობა ორთავე საფუძვლით, შესაძლებელს გახდის ადგილობრივ ორგანოთა ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და განმტკიცებას.

ადგილობრივ ორგანოს გაყავს ახალი ქუჩები, წყალსადენი, კანალიზაცია, განათება, აძლიერებს და აუმჯობესებს მიმოსვლის საშუალებებს და სხვა, ე. ი. ქმნის ისეთს ღირებულებას, რომლითაც სარგებლობს ყველა მოქალაქე ან მცხოვრებთა ნაწილი.

თუ გსურს ადვილად მიხვიდე შენს ბინამდის, თუ გსურს საკმაო და სალი წყალი გქონდეს ახლოს, თუ გინდა სისუფთავე, თუ არ მოგწონს ბნელს ქუჩაში სიარული,—გაიღე ხარჯი და გექნება ყველა ეს. გაგიწევს სამსახურს ადგილობრივი ორგანო, გაგიკეთებს ყველა ამას და შენც მიეცი სამაგიერო მას. აი ის ანბანური ჭეშმარიტება, რომელსაც „სამსახურ სამაგიეროს" პრინციპი ეწოდება.

ადგილობრივ ორგანოს ამგვარი სამსახურით, უპირველეს ყოვლისა, სარგებლობენ უძრავ ქონების მესაკუთრენი და ვაჭარ-მრეწველნი.

ქალაქში თუ კარგი გზებია, კარგი განათება, წყალი, სისუფთავე დაცულია, სკოლები მრავალია, საავადმყოფოებია, ვაჭრობა-მრეწველობა განვითარებულია — ქალაქი სწრაფად იზრდება, მცხოვრებთა რიცხვი სწრაფად მატულობს, და ამ გარემოებით ყველაზედ მეტად სახლის და მიწის პატრონები სარგებლობენ, რადგან მცხოვრებთა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მამულის ღირებულება, მისი საიჯარო ფასი, ბინის ქირა და სხვა.

გარდა ამისა ადგილობრივი ორგანო თავის სამეურნეო მოღვაწეობით ხშირათ დიდს სამსახურს უწევს მცხოვრებთა განსაკუთრებულ ჯგუფს, სახელდობრ უძრავ ქონების პატრონთ.

ქალაქს გაყავს ქუჩა, კანალიზაცია, წყალსადენი, განათება და სხვა. ამას შედეგად მოყვება იმ ქუჩაზე, სადაც აღნიშნული ზომებია მიღებული, მდებარე მამულების და სახლების ფასის, ღირებულების ზრდა. მესაკუთრეს მამულის ღირებულება მოემატა მაშინ, როდესაც მას არც კაპიტალი და არც შრომა ამ ღირებულების ზრდაზე არ დაუხარჯავს. მაშასადამე ეს ღირებულება მისთვის სრულიად დაუმსახურებელია და შედეგი მხოლოდ ადგილობრივ ორგანოს სამეურნეო მოღვაწეობისა. ეს ზედმეტი დაუმსახურებელი ღირებულება ევროპასა და ამერიკაში განსაკუთრებულის გადასახადით იბეგვრება. პროფესორ ოზეროვის აზრით, ეს გადასახადიც არ არის—ჯერ ადგილობრივი ორგანო უდებს მესაკუთრეს ჯიბეში განსაკუთრებულ თანხას და შემდეგ ეს ორგანო უკან სთხოვს ამ თანხის ნაწილს.

მაშასადამე ადგილობრივი ორგანო თავის სამეურნეო მუშაობით განსაკუთრებულ „სამსახურს" უწევს უძრავ ქონების პატრონთ და აი ამ ქონების პატრონებმაც სხვაზე მეტი „სამაგიერო" უნდა გაიღონ ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ.

ადგილობრივ ორგანოს სამეურნეო მოღვაწეობით, უძრავ ქონების პატრონებზე არა ნაკლებ სარგებლობენ ვაჭარ მრეწველნიც. ქალაქის პატარა ტერიტორიაზე შეკუჩებული მოსახლეობა, კარგი გზები, განათება, წყალი, მიმოსვლის იაფი საშუალებანი და სხვა ქმნის იმისთანა პირობებს, რომელშიც ვაჭრობა მრეწველობას მოგება უადვილდება და უდიდდება.

ეს ჯგუფიც მოვალეა ადგილობრივ ორგანოს „სამსახური"სათვის სხვაზედ მეტი „სამაგიერო" გაიღოს.

მაგრამ ადგილობრივ ორგანოს მუშაობა მარტო ქუჩების, წყალსადენის, კანალიზაციის და სხვათა გაყვანა-ექსპლოატაციით, ე. ი. სამეურნეო სფეროთი არ განისაზღვრება. მას სხვა მოვალეობაც აწევს; იგი ვალდებულია დაიცვას წესიერება, მოქალაქეთა სიცოცხლე და ქონება უზრუნველჰყოს ყოველგვარ საფრთხისაგან, მოაწყოს მის გამგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე სწავლა-განათლების საქმე, იზრუნოს უპატრონო ბავშვების აღზრდაზე, მოუაროს მოხუცებს და ინვალიდებს, მოაწყოს და შეინახოს თავისი სამმართველო და სხვა. ე. ი. ადგილობრივი ორგანო ვალდებულია მცხოვრებთა საზოგადო მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს, ვალდებულია შექმნას და შეინახოს ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც ყველასათვის ერთნაირი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

ამ ხასიათის მოღვაწეობიდან გამომდინარეობს მცხოვრებთა დაბეგვრის მეორე საფუძველი. ადგილობრივ ორგანოს მოღვაწეობის ამ სფეროში „სამსახურ-სამაგიეროს" პრინციპს ადგილი არა აქვს.

თუ პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ადგილობრივი ორგანო წმინდა სამეურნეო მოღვაწეობას ეწარმოებს, „სამსახურ-სამაგიეროს" პრინციპს უნდა ჰქონდეს მთავარი მნიშვნელობა, — მეორე შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ ორგანოს მოღვაწეობას ყველა მოქალაქისათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, მოქალაქემ უნდა გაიღოს ის, რის გაღებაც მას შეუძლიან, მიუხედავად იმისა, თვითონ სარგებლობს ამ მოღვაწეობით დღეს თუ არა. ამ შემთხვევაში მოქალაქე უნდა იბეგრებოდეს „ხარჯ-გადახდის უნარიანობის" პრინციპით.

მაგრამ სახელმწიფოც აწარმოებს როგორც სამეურნეო, ისე ყველასათვის ერთნაირი მნიშვნელობის საზოგადო მოღვაწეობას. სახელმწიფოს გაყავს სახელმწიფო მნიშვნელობის გზები, ხიდები, მიმოსვლის საშუალებანი, აუმჯობესებს სასოფლო-მეურნეობას და სხ. ამავე დროს იგი იცავს მცხოვრებთ გარეშე მტრებისაგან, შინა ბანდიტებისაგან, ინახავს სკოლებს, სახელმწიფო მნიშვნელობის საავადმყოფოებს, თავშესაფარებს, განმანათლებელ დაწესებულებებს და სხვა.

მაშასადამე სახელმწიფომაც თავისი ფინანსიური სისტემა უნდა ააგოს ზემოთ ხსენებულ პრინციპებზედ.

ამ პრინციპებზედ არის აგებული ა. | კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 2 აპრილის დეკრეტი.

ბ.

კოოპერაციის დამოკიდებულება სახელმწიფო ტრესტებთან

მშრომელი კლასის მიერ სისხლით გამარჯვებულმა რევოლიუციამ დაამარცხა მუშათა კლასის ყოველგვარი მტრები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საჭე მუშურ გლეხური ძალაუფლებას გადასცა. საგარეო და საშინაო ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ რესპუბლიკის პირველ ამოცანათ დაისვა იმპერიალისტური და შემდეგ სამოქალაქო ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა და ომების გამო გაძვალტყავებული და ყოველმხრივათ შევიწროებული მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება.

რას ვხედავთ ჩვენ გაკეთებულს ამ ორ სფეროში?

დანგრეული მეურნეობა მუშათა კლასის საგმირო შრომით ფეხზე წამოდგომა, ამოძრავდენ ფაბრიკა-ქარხნები, ნორმალური მუშაობა დაიწყო რკინის გზის ტრანსპორტმა, ამუშავდა მაღაროები, დაიწყეს ვაჭრობა სახელმწიფო ტრესტებმა.

საკითხი დაისვა მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მუშებთან და გლეხებთან სხვა სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებზე უფრო დაკავშირებულია კოოპერაცია. ის მოფანტულია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ქალაქებსა და სოფლებში და თავის ირგვლივ თავს უყრის მშრომელ ხალხს.

რა მოვალეობა აწევს კოოპერაციას ამ ხალხის წინაშე? მისი მოვალეობაა გადაარჩინოს მშრომელი კლასი ვაჭრების კლანჭებისაგან და ყოველი მისთვის (მუშათა კლასისთვის) საჭირო საქონელი მიაწოდოს, რაც შეიძლება იაფ ფასებში და კარგი ხარისხის. აგრეთვე კოოპერაციას დავალებული აქვს კერძო ვაჭრების ხელში არ ჩავარდეს სოფლის მიერ დამზადებული ნედლეულობა, არამედ კოოპერაციის საშუალებით დამზადდეს სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც მუშურ-გლეხური მთავრობის დახმარებით და თვით მშრომელი მასის შეგნებულათ შეხვედრით კოოპერაცია აღდგენილია. ის შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას, დაუახლოვდა რესპუბლიკის ყველა მშრომელთ თავისი ორგანიზაციებით, რომელიც მოეფინა საქართველოს ყველა კუთხეებს. სახელმწიფომ მას დაავალა ნედლეულობის დამზადება, როგორიცაა მაგ. აბრეშუმი. დღეს ეს მთავრობის ხელშია და კოოპერაციის საშუალებით ეწევა ამ ფრიად თვალ საჩინო მეურნეობის სათანადო დონეზედ დაყენებას და მეაბრეშუმეთა ყოველმხრივი დაკმაყოფილებას. აგრეთვე კოოპერაციის საშუალებით გლეხების მიერ დამზადებული სიმინდი საზღვარ-გარეთ გადის, ამით ფასი სიმინდზედ იწევს, რაც აუმჯობესებს გლეხების მდგომარეობას და სხვა, რომელთა მოგვარება კოოპერაციას უხდება. ყოველივე ეს ადვილი ხდება მით უმეტეს მაშინ, როდესაც კოოპერაციის ახალი სტრუქტურა, მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებების მშენებლობის სახით, სრულიად სცვლის ძველი დაქსაქსული კოოპერაციას. ის თავს უყრის ყველა კოოპერატივებს, მოყავს სისტემაში, ყავს საერთო ცენტრი და ხელმძღვანელი.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, კოოპერაციამ საქონელი რაც შეიძლება იაფ ფასებში უნდა მიაწოდოს მომხმარებელთ. ვის ხელშია ეს საქონელი? სახელმწიფოს ხელში ტრესტების სახით. ისინი ამზადებენ საქონელს, ხსნიან თავიანთ სავაჭროებს, აწყობენ სავაჭრო აგენტურას, აგენტები მიემგზავრებიან, როგორც კომისიონერები საქართველოს ყველა კუთხეებში, მიაქვთ სანიმუშოთ საპონი, თამბაქო, ტყავი და სხვა, და სდებენ ხელშეკრულებებს კერძო ვაჭრებთან. რომელთაც აწვდიან შემდეგ საქონელს. რა გამოდის; 1) სახელმწიფო ტრესტები ინახავენ ურიცხვ შტატს, მხოლოდ იმისათვის, რომ გაასაღონ დამზადებული საქონელი, ამ შტატის შენახვა აწევა საქონელს, რაც ზრდის ფასს. 2) სახელმწიფო ტრესტები უკავშირდებიან კერძო ვაჭრებს, რომელნიც შემდეგ გაუმაძღრათ ყვლეფენ მშრომელ მასას და მეტოქეობას უწევენ კოოპერატივებს.

ისმება კითხვა, შეუძლია თუ არა კოოპერაციას იკისროს ტრესტების მიერ დამზადებული საქონლის გასაღება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამის შესრულება მხოლოდ კოოპერაციას შეუძლია, ვინაიდან ის ყველა კუთხეებშია და მყიდველებიც მთელი მშრომელი ხალხი ყავს, ამ საქონლის გასასაღებლათ არც შტატის გადიდება და არც ახალი აპარატის შექმნა მას არ დასჭირდება. მაშ საჭიროა და მიზანშეწონილი, რომ საქართველოს კოოპერაციის ცენტრმა—ცეკავშირმა მოლაპარაკება აწარმოოს ცალკე ტრესტებთან მთელი მათი ნაწარმოების კოოპერაციაზედ გადმოსაცემათ. ეს შეამცირებს ტრესტების ურიცხვ ხარჯებს, რაც გააიაფებს საქონელს და გააფართოებს ვაჭრობას. მეორე მხრივ სახელმწიფოს ტრესტების მიერ დამზადებული საქონელი პირდაპირ გადავა მომხმარებლების ხელში კოოპერაციის საშვალებით, საქონელი იაფი ეღირება მომხმარებელთათვის და ამავე საქონელს მეტოქე არ ეყოლება ვაჭრის სახით. რუსეთში ეს საკითხი დიდი ხანია რაც წამოიჭრა და რუსეთის კოოპერაციის ცენტრმა „ცენტროსოიუზმა" უკვე რამდენიმე ტრესტებთან ხელშეკრულება დასდო. ჩვენც ეს საკითხი უნდა გადავჭრათ ახლო მომავალში.

ვლ. ცაგარელი.

თითონაც არ სჯერათ, რასაც ლაპარაკობენ

ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა კომუნისტმა ამ დღეებში მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე „მენშევიკი".

წერილის ავტორი ლაპარაკობს, რომ ყოფილ მენშევიკების ყველა ეს კონფერენციები იმართება ბოლშევიკური ხელისუფლების ზეგავლენით და, ბოლოს, იმუქრება, რომ კონფერენციის მონაწილეთა შორის მაინახებიან ისეთი პირები, რომელნიც განაცხადებენ „სოციალისტურ უწყებაში" იმ ძალდატანების შესახებ, რის მსხვერპლიც ისინი გახდენ.

უნდა იყო ბრმა, ცხოვრებისაგან ჩამოშორებული ან ბოროტი ცილისმწამებელი, როდესაც ამტკიცებ, რომ ყველა ეს კონფერენციები ბოლშევიკური ხელისუფლების ძალდატანების ქვეშ იმართებაო.

და, მართლაც, გასაოცარია ის გულუბრყვილობა, რომელსაც იჩენენ ამ საკითხში ჩემი ყოფილი პარტიული ამხანაგები.

[illegible] შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მენშევიკურ პარტიის ათეულ ათასმა წევრმა მიიღო პროლეტარიატის დიქტატურა ხელისუფლების ძალდატანებით?

ვისი გულუბრყვილობის იმედი აქვთ მათ, როდესაც ამის დამტკიცებას სცდილობენ?..

მუშათა მასები, რა თქმა უნდა, ამას არ დაიჯერებენ...

არ დაიჯერებს ამას არც რეაქციონური მასა, თუმცა თავის პირადი ინტერესების მიხედვით არ გაამხელს, რომ ყველაფერი ეს მართალია.

მაგრამ, განა, შესაძლებელია ასე არასერიოზულად მიდგომა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბებისადმი?

მე არ უარყოფ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დამნაშავენი არიან იმაში, რომ მთელი მუშათა-მენშევიკური მასები გადავიდენ საბჭოთა პლატფორმაზე.

ამ ბრალდებისაგან საბჭოთა ხელისუფლება ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება.

თავისი არსებობით, თავისი მუშაობით, თავისი ბუნებით მან დაუმტკიცა მუშათა კლასს თავისი უპირატესობა დემოკრატიული ძალაუფლების წინაშე..

აი მხოლოდ ამაშია დამნაშავე და ამისათვის უნდა გავასამართლოთ საბჭოთა ხელისუფლება...

ორი-სამი კაცი, ორმოცდათიც კი მოიძებნება ისეთები, რომელნიც, შესაძლებელია, გამოაქვეყნებენ „სოც. უწყებაში", რომ ისინი აიძულეს კონფერენციებში მიეღოთ მონაწილეობა...

ეჭვი არ მეპარება, მოიძებნებიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ განცხადებას არავითარი ფასი არ აქვს.

იქ, სადაც 15 ათასი მუშა და გლეხი მენშევიკურ პარტიიდან გადავიდა საბჭოთა პლატფორმაზე, 2—3 პირის განცხადება არის წვეთი ზღვაში, არის პროვოკაცია, ფაქტების განზრახ დამახინჯება ბოროტი მიზნით.

და მე ვფიქრობ, რომ ამგვარი წერილებით და ბარათებით, რომელიც ეგზავნება პასუხისმგებელ კომუნისტებს, ჩემი ყოფილი პარტიული ამხანაგები თავს ირცხვენენ.

ამ წერილებში არის არასერიოზულობის, გულუბრყვილობის და პოლიტიკური გაკოტრების დიდი ნიშანი.

ასეთი ბარათებით არ შეიძლება იმ მასიური მოძრაობის შეჩერება, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ოდესღაც ძლიერ მენშევიკურ პარტიის რიგებში.

მართალია, ამ ნიაღვარმა გვერდი აუხვია ყოფილ ლიდერებს, შესაძლებელია, სრულიად მოულოდნელადაც.

შესაძლოა, რომ ეს მოვლენა სასტიკად შეეხო ზოგიერთების თავმოყვარეობას.

მაგრამ, როდესაც ისტორიული ამბები ხდება, არ შეიძლება ლაპარაკი და ფიქრი პირად თავმოყვარეობაზე.

ეს მოვლენები მხედველობაში უნდა მიიღო და გამოიყვანო აქედან სათანადო დასკვნები.

დასკვნა კი ერთად ერთია:

— პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება.

უაზროა და უიმედოა ეხლა დემოკრატიულ ძალაუფლებისათვის მობლაუქება

განა დემოკრატიზმის პრინციპებმა სრული კრახი არ განიცადეს?

აიღეთ თუნდა გერმანია!

ნიაღვარმა იქაც გვერდი აუხვია ყოფილ მენშევიკურ ლიდერებს.

მაგრამ ამ ნიაღვარის დაწევა ჯერ კიდევ გვიან არ არის.

და ყოფილი მენშევიკები, მტკიცედ დადგენ რა ისინი პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე, დაუთმობენ მათ რიგებში შესულ ლიდერებს იმ საპატიო ადგილს, რომელიც მათ წინად ეჭირათ...

მე გადმომცემენ, რომ ერთ-ერთი ცნობილი მენშევიკი, ნაცნობისადმი მიწერილ კერძო ბარათში, ეხება მენშევიკურ პარტიაში მომხდარ ამბებს და აცხადებს, რომ მენშევიკების ტაქტიკა პარტიიდან წევრების მასიური გასვლის გამო, რადიკალურად უნდა შეიცვალოსო.

,,ერთი წუთითაც რომ დაუშვათ, რომ ჩვენი პარტიიდან ძალდატანებით გადიან, მაშინაც საჭიროა ჩაუფიქრდეთ ჩვენი პარტიის ბედს, ვინაიდან ეს ამტკიცებს, რომ, ჩვენი საძირკველი მტკიცე არ არის".

კონკრეტიულად გათვალისწინებული გზა ამ წერილში არ არის. მაგრამ იგი მნიშვნელოვანია მით, რომ ამ ამბებს უყურადღებოთ არ სტოვებს, როგორც ამას ზოგიერთები სჩადიან, და ავტორი კრიტიკულად უდგება მათ.

და თუ ამ წერილის ავტორი გაალრმავებს თავის ანალიზს, ის უსათუოთ იმავე დასკვნას გამოიყვანს, რომელიც მუშათა მასამ გამოიყვანა.

— ჩვენი ყოფილი პარტიის საძირკველი მტკიცე არ არის.

ეს საძირკველი კი—პროლეტარიატის დიქტატურაა.

ა. რ—ძე.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

რუსეთის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გამოფენა

როდის გაიხსნება გამოფენა.

რუსეთის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გამოფენის გახსნა განზრახულია 19 აგვისტოს. გამოფენა გასტანს 15 ოქტომბრამდე. ამ ჟამად სწარმოებს გაცხარებული მუშაობა შენობების დასამთავრებლათ და ექსპონატების გასაწყობათ.

გამოფენის ტერიტორია ძველად და ახლა.

გამოფენის ტერიტორია მდებარეობს მოსკოვის „ზამოსკვარეცკაია"ს რაიონში, მდინარე მოსკოვის ნაპირზე, დაწყებული ყირიმის ხიდიდან გათავებული „ნესკუჩნი" ბაღით (რის შემდეგ იწყება ვორობიოვის მთები). გამოფენამდე ეს ტერიტორია წარმოადგენდა მწირ ჭაობიან და მცირეთ დასახლებულ უბანს, მიუხედავათ იმისა, რომ ის არც მაინც დამაინც შორს არის ცენტრიდან (ნახევარი საათის ფეხით სავალი კრემლიდან); ახლა კი ამ ადგილს ვეღარ იცნობთ ის დაფარულია ახლათ აგებული სხვადასხვა სტილის შენობებით, რომელთა შორის შეხვედებით რუსეთის სხვადასხვა კუთხის შენობებს. გამოფენის ტერიტორია შეიცავს სულ 64 დესიატინის სივრცეს. აღსანიშნავია, რომ შენობების აგება და საერთოდ გამოფენის მოწყობა მოხდა გასაკვირალი სისწრაფით. ის, რაც, ძველი სპეციალისტების ანგარიშით, უნდა გაკეთებულიყო სამ წელიწადში გაკეთდა სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

ვინ არის წარმოდგენილი გამოფენაზე და რითი.

გამოფენაზე წარმოდგენილია საბჭოთა რუსეთის ყველა კუთხეები და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები.

გამოფენაზე იქნება არა მარტო სოფლის მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის ნაწარმოები, არამედ აქ წარმოდგენილი იქნება ყველაფერი ის, რაც ასურათებს რუსეთის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას (სხვადასხვა სტილის სოფლის ქოხები და სხვა). საკმაო ადგილი უჭირავს საცდელი სოფლის მეურნეობის (опытнаго хозяйства) ექსპონატებს.

გამოფენაზე მონაწილეობას იღებენ უცხო სახელმწიფოები, როგორც **გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, ლიტვა, ლატვია, ჰოლანდია, სპარსეთი, და სხვა.** მათ მიერ წარმოდგენილია ექსპონატები, როგორც სოფლის მეურნეობის დარგიდან, ისე ინდუსტრიალური და უმთავრესათ კი სოფლის მეურნეობის მანქანები. უცხო სახელმწიფოთა ნაწილს აქვთ მოწყობილი თავთავიანთი პავილიონები, დანარჩენებს კი მოთავსებული აქვთ ექსპონატები უცხო სახელმწიფოთათვის განსაკუთრებულ საერთო პავილიონში.

რა და რა განყოფილებებია (ნაწილებია) გამოფენაზე.

გამოფენის შინაარსი სწურავს სასოფლო-მეურნეობის ყველა დარგს და მასთან ერთად ის იძლევა რუსეთის ბუნების საერთო სურათს (ჰავა, წყლები, გეოლოგიური წარსული). ასეთი წესით ადვილათ შეიძლება ექსკურსანტებმა დაინახონ, თუ რა გაკეთდა სოფლის მეურნეობაში და რისი გაკეთება შეიძლებოდა იმ ბუნებრივი პირობების მხრივ, რომელიც რუსეთის სოფლის-მეურნეობას ხელთ ქონდა. გამოფენა შესდგება შემდეგ ნაწილებიდან:

1. რუსეთის ბუნება (გეოლოგიური წარსული, ახლანდელი რელიეფი, ჰავა, წყლები, მცენარეულობა, ცხოველები და მცხოვრებნი).

2. სასოფლო-სამეურნეო განათლება.—განათლება სოფლის მეურნეობის დარგში რევოლიუციამდე და მას შემდეგ.

3. აგრონომიული დახმარება სოფლის გლეხს. როგორ სწარმოებდა დახმარება, მაჩვენებელი (показательное) საქმე.

4. სასოფლო-მეურნეობის საცდელი საქმე. (საცდელი დაწესებულებანი, მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებული მეურნეობა და მისი შედეგები).

5. მემინდვრეობა. თესვის ტეხნიკა, სათესი მასალის შერჩევა, შენახვა და სხვა.

6. გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა.—მიზეზები, ზომები რომელსაც მის წინააღმდეგ ხმარობენ სხვადასხვა ქვეყნებში.

7. სპეციალური კულტურული მცენარეულობა. (ზეთის ეფირის, სართავის, სამკურნალო და სხვა) მათი რაიონი, ტეხნიკა და ეკონომიკა.

8. ბაღოსნობის ნაწილი.

9. მევენახეობა და მეღვინეობა. ახლანდელი მდგომარეობა, პერსპექტივები, გადამუშავება, ვაზის ავადმყოფობასთან ბრძოლა.

10. მიწის განოყიერება. გასანოყიერი მასალები, მათი გადასამუშავებელი ქარხნები და მასალის მოხმარება.

11. მცენარეულობის დაცვის ნაწილი. დასაცავი საშუალებანი, კალიის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

12. სატყეო განყოფილება. სტატისტიკა, ტყის მოვლა, გაზრდა, დაცვა, მოხმარა, ხეტყის მექანიკური დამუშავება, ქიმიური დამუშავება (ნახშირი, „მეტილოვი", სპირტი), ტყის მელიორაცია და უდაბურ ადგილებზე გაშენება, ეკონომიკა და შრომის ორგანიზაცია სატყეო მეურნეობაში.

13. ვეტერინალური ნაწილი—ვეტერინალურ-სანიტარული საქმე, სასაკლაო საქმე და ხორცის შესწავლა, შინაური პირუტყვის დაზღვევა; ვეტერინალური ზედამხედველობა რძეზე და სხვა ცხოველების ნაწარმოებზე (ყველი, კარაქი), პირუტყვების გიგიენა და სამკურნალო საქმე

14. სასოფლო მეურნეობის დამამუშავებელი წარმოების ნაწილი. აქ შედის მთელი რიგი წარმოების, რომელიც შეუძლია თვით დაიმუშაოს სოფელმა და არ გამოიტანოს ნედლათ ბაზარზე.

15. სოფლის მეურნეობის ნაწარმოების შენახვა და გადამუშავება ხორბლის დაფქვა, მაკარონის და ვერმიშელის გაკეთება; კრახმალის დამზადება; ზეთის დამზადება; სპირტის, პივის, კვასის და ძმარის დამზადება; შაქრის მრეწველობა; თუთუნის დამზადება; ხილის და წვანილის გადამუშავება; გარჩიცის წარმოება; სამკურნალო მცენარეულობის გადამუშავება; საელევატორო საქმე; სარძევო საქმე; კვერცხების წარმოება; გადამზადება ხორცის და თევზის პროდუქტები; საპნის წარმოება; მატყლის დამზადება; ტყავის წარმოება; რქის და ძვლების დამუშავება და სხვა. ნაჩვენები იქნება ყველა ზევით მოყვანილი წარმოების პროცესი.

16. მიწად მოწყობა და კოლონიზაცია—მიწად მოწყობის სხვა და სხვა ფორმები; კოლონიზაცია, გადასახლება და სხვა.

17. სასოფლო-მეურნეობის მანქანების და იარაღის ნაწილი.

18. ელექტროფიკაციის და მექანიზაციის ნაწილი—ახლანდელი მდგომარეობა სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციის და მექანიზაციის, მომავალი მისი განვითარების პირობები და სხვა.

19. მელიორაციის და წვრილი კუსტარული წარმოების ნაწილი.

20. შრომის განყოფილების ნაწილი—შრომის ორგანიზაცია სასოფლო-მეურნეობაში; შრომა წვრილ ერთეულ მეურნეობაში; შრომა კოოპერატიულ მეურნეობაში და კომუნებში.

ექსკურსანტების განზრახული რიცხვი, მათი მოწყობა. გამოფენის დათვალიერების წესი.

განზრახულია გამოფენაზე გაატარონ 110 ათასი ექსკურსანტი 19 აგვისტოდან დაწყებული 15 ოქტომბრამდი. ამ რიცხვის შორის 70 პროც. იქნება სოფლის გლეხები. ადგილობრივ ორგანოებს წინდაწინვე დაგზავნილი აქვთ ცნობები, თუ რამდენი ექსკურსანტი უნდა გამოგზავნილი იქნეს მათ მიერ. ნორმაში გამოგზავნილები იქნებიან უზრუნველყოფილი საერთო საცხოვრებელი ბინებით, რომელიც უმეტეს ნაწილათ მოთავსებული არიან გამოფენის ახლო-მახლო. რაც შეეხება ექსკურსანტების კვებას, გამოფენის კომიტეტს სხვა ორგანიზაციებთან ერთად განზრახული აქვს მოაწყოს ექსკურსანტების უფასო კვება, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა საბოლოოთ, ამიტომ ადგილობრივი ორგანოები გაფრთხილებული არიან ექსკურსანტების სურსათის და ფულით მომარაგების შესახებ.

ნორმაზე ზევით გამოგზავნილების, ზრუნვას გამოფენის კომიტეტი თავის თავზე ვერ იღებს. კომიტეტს შეძლება არ აქვს დააკმაყოფილოს ბინით ექსკურსანტების ნორმაზე მეტი რიცხვი. მათი ზრუნვა და ხარჯის გაწევა გამომგზავნელ ორგანიზაციებს ევალებათ.

ექსკურსანტების გამოფენაზე გამოგზავნა სწარმოებს ჯგუფ-ჯგუფებათ, გამოფენის კომიტეტის გამომუშავებულ წესის და ნუსხის მიხედვით. 19 აგვისტოდან დაწყებული გამოფენაზე იწყებს ჩამოსვლას ყოველ დღე ახალ-ახალი ჯგუფი. თვითეული ჯგუფი რჩება გამოფენაზე, არა უმეტეს 5 დღისა, მათ შორის 4 დღე გამოფენაზე და ერთი მოსკოვში პირადი საქმეებისათვის. ზედმეტი დღეების დარჩენა დაუშვებელია ბინის კრიზისის გამო. ჩამოსულებს რკინის გზის სადგურზე შეხვდებათ წარმომადგენლები ბინებზე წასაყვანათ (ჯერ აბანოში).

რამდენი უნდა გაგზავნოს საქართველომ და როდის.

გამოფენის კომიტეტის განაწილებით საქართველო გამოფენაზე გზავნის სულ 846 ექსკურსანტს (ამ რიცხვში შედის აფხაზეთიც). პირველი პარტია, 46 ექსკურსანტისგან შემდგარი, უნდა იქნეს მოსკოვში 19 აგვისტოს; მეორე 300 ექსკურ.—6 სექტემბერს, მესამე—500 კაცი 22 სექტემბერს.

როგორ მოხდება დათვალიერება.

ექსკურსანტები გამოფენის დასათვალიერებლათ დაიყოფიან მცირე რიცხოვან ჯგუფებათ. თვითეულ ჯგუფს ეყოლება თავისი ხელმძღვანელი. ამას გარდა ყველა პავილიონებში იქნება ამხსნელი. ხელმძღვანელები და ამხსნელები მისცემენ ექსკურსანტებს საჭირო ახსნა-განმარტებებს.

კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ექსკურსანტებს შორის და გასართობები.

გამოფენაზე თვითეული ჯგუფისათვის წაკითხული იქნება მთელი რიგი ლექციების როგორც სპეციალურ (აგრონომიული) საკითხების შესახებ, ისე საერთო კულტურულ-განმანათლებელის. 5-იდან 10 სექტემბრამდე მოწყობილი იქნება ხალხთა დღესასწაული. მის მოწყობაში იღებენ მონაწილეობას ყველა ერების (საბჭოთა კავშირის) წარმომადგენლები. მოწყობილი იქნება მეცნიერული აგრონომიული ესტრადა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გამოააშკარავოს სხვა და სხვა პავილიონების ღირსშესანიშნავი და დამახასიათებელი მხარეები. დადგმული იქნება მასიური სურათები („смычки города с деревней"). ყოველდღიურათ გამოვა გამოფენის სპეციალური გაზეთი.

ხ. გ.

მოსკოვი, 4 აგვისტო.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ლატვიის ახალი ელჩი.

რიგა. 7 აგვისტო. კანდიდატათ ლატვიის ელჩის თანამდებობაზე მოსკოვში ასახელებენ ინჟინერ საოლას, რომელიც ეკუთვნის დემოკრატიულ ცენტრს ლატვიის ყოფილ წარმომადგენელს მოსკოვში, ნიშნავენ ელჩათ ლონდონში.

რუსეთ-პოლონეთის საფოსტო კონვენციის რატიფიკაცია.

ვარშავა. 8 აგვისტო. პოლონეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება, რუსეთ-პოლონეთის საფოსტო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ. პროექტი შეტანილი იქნება სეიმში.

საფრანგეთის ეკონომისტები მოელიან სავაჭრო ხელშეკრულებას რუსეთთან.

პარიზი. 7 აგვისტო. სენატორ დემანზის მომავალი მოგზაურობა რუსეთში დიდ ინტერესს იწვევს საფრანგეთის ეკონომიურ წრეებში, რომელნიც იმედოვნებენ, რომ რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის მიუდგომელი გამოკვლევა მოაახლოვებს ხელშეკრულების დადებას საბჭოთა მთავრობასთან. ფიქრობენ, რომ უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან, რომლებიც დაამოწმებენ რუსეთის ეკონომიურ აღდგენას, თვალსაჩინო გავლენას იქონიებენ ხელისუფლებასთან მდგომ პირებზე.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ინგლისი კვლავ ცდილობს ჩაშალოს ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

ლონდონი. 7 აგვისტო. ინგლისის კონსერვატიული პრესა სდუმს ამხ. რაკოვსკის დანიშვნის გამო მომხდარი ინცინდენტის შესახებ. ლიბერალური გაზეთები დაკმაყოფილდენ მხოლოდ ოფიციალურ ცნობის გამოქვეყნებით, რომელიც აღნიშნავს ამ საქმესთან სერიოზულათ გაცნობის აუცილებლობას, რადგან რაკოვსკის წინააღმდეგ წარმოდგენილი ეჭვები სერიოზულია. „დეილი ჰერალდი“ (ინგლისის პროფკავშირთა ორგანო) ხედავს ამაში სავაჭრო შეთანხმების ჩაფუშვისათვის ახალ კომპანიის დასაწყისს.

იერიშები ამხ. რაკოვსკიზე ურხარდტის ოინების შედეგია.

პარიზი 7 აგვისტო. საფრანგეთის პრესა უკომენტარიოთ იუწყება ინგლის-რუსეთის დიპლომატიურ კონფლიქტის შესახებ რაკოვსკის დანიშვნის გამო. მხოლოდ „ჰიუმანიტე“ ხედავს ინციდენტში ურხარდტისა და საბჭოთა რუსეთის სხვა შეურიგებელ მტრების ოინების შედეგს.

რუსეთი და ჩინეთი

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხი.

პეკინი. 7 აგვისტო. ადგილობრივი და უცხოეთის გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ჩინეთის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მონაპირე მიწების მისაკუთრებას. „პეკინ-ენდტიანზინ ტაიმსი“ (ბრიტანეთის საელჩოს ორგანო პეკინში) აღნიშნავს, რომ მფლობელობის აქტების მისაკუთრება გაამაგრებდა მანჯურიის ხელისუფლების პოზიციას ს. ს. რ. კ-ის რწმუნებულის ჩამოსვლამდე და რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის დაწყებამდე, მანჯურიის ხელისუფლების მიზანია ფაქტიურ უპირატესობების შეძენა, ვინაიდან მას არ სურს ხელიდან გაუშვას ესოდენ მდიდარი მხარე. გაზეთი მოაგონებს ჩინეთს რუსეთის მხრით ჩარევის შესაძლებლობას, რადგან რუსეთის ინტერესები შელახულია.

გერმანიის ამბები

პოლიტიკური მდგომარეობა გერმანიაში.

(საუბარი ამხ. ლოზოვსკისთან).

მოსკოვი. 8 აგვისტო. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პროფინტერნის მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ დაახასიათა პროფინტერნის და კომინტერნის მომხრეთა ტაქტიკა გერმანიაში:

„გერმანიაში სწარმოებს რევოლიუციის ნორმალური მზადება. მასების გაღატაკება, მათი დარბევა და ხოცვა აქტიურ ბრძოლისაკენ მოუწოდებს მილიონ პროლეტარებს. პროფინტერნის და კომინტერნის მომხრეები მომავალი ბრძოლისათვის ამზადებენ მასებს და უხსნიან მათ სასტიკ სიმართლეს. ბურჟუაზიას, სოციალ-დემოკრატებთან ერთად, უნდა პროვოკაცია გასწიოს რევოლიუციონურ მუშებს შორის გამოსვლის სასარგებლოთ, რომ შემდეგ საშინელი სისხლის ღვრა მოახდინოს. მაგრამ ისინი ამას ვერ იზამენ. გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რომელიც დიდ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს, კარგათ ესმის ის, რომ ეხლანდელი მომენტი სასარგებლო არ არის გამოსვლისათვის“.

—

საქსონიის მთავრობა კუნოს ემუქრება.

ბერლინი. 9 აგვისტო. მთავრობა კუნოს წინააღმდეგ კომპანიას განაგრძობს და ემუქრება კანცლერის სახელის გამტეხ დოკუმენტების გამოქვეყნებით.

ჯამაგირებს ვერ აძლევენ.

პარიზი. 9 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო ბევრს დაწესებულებაში მოსამსახურეებს ჯამაგირს ვერ აძლევენ.

მარკამ სრულებით დაკარგა ფასი.

ლონდონი. ინგლისის კაბინეტი და ბანკირთა წრეები იმ დასკვნამდის მივიდენ, რომ ფაქტიურათ გერმანიის მარკამ ამ ჟამათ სრულებით დაკარგა ფასი და ის სხვა რაიმე ფულის ნიშნით უნდა იყოს შეცვლილი იმ დრომდი, სანამ შესაძლებელი არ იქნება გერმანიის ფინანსების რეფორმა, ამასთან ერთად აჩვენებენ ავსტრიაზე, რომლის აღორძინება უეჭველათ მოხდება იმის გამო, რომ მაისში ხორციელდება ფინანსიურ-ეკონომიურ ცხოვრებისათვის უცხოელების მიერ ხელმძღვანელობის გაწევის პროგრამა.

კუნოს მოხსენება რეიხსტაგში.

ბერლინი. კუნომ რეიხსტაგში მოხსენება გააკეთა მთავრობის მოლაპარაკების შესახებ ლონდონთან და რომთან, რომლის მიზანი იყო საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ საფუძველი, რომელზედაც ინგლის სურს საკითხის გადაჭრა,—სრულებით ვერ არის დამაკმაყოფილებელი და ისეთ დათმობებს შეიცავს, რომელიც მიუღებელია გერმანიისათვის.

კუნომ აღნიშნა, რომ რურის ოკუპაციამდე საფრანგეთის მიერ გერმანიის მთავრობამ ოთხჯერ სცადა საფრანგეთთან შეთანხმება. ოკუპაციის შემდეგ მთავრობა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევით სარგებლობდა, რომ განცხადება გაეკეთებია გარანტიების მიცემის შესახებ და შესაძლებელი ლონის ძიებასათვის მიემართა კონტრიბუციის გადასახდელად. საფრანგეთის მოთხოვნილება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ უეჭველათ მიუღებელია, რადგან პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტით მთავრობა ხელიდან უშვებს ერთად ერთ იარაღს.

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთი და ვატიკანი.

პარიზი. საფრანგეთის სხვა და სხვა მიმართულების ბურჟუაზიული გაზეთები სასტიკათ ილაშქრებენ პაპა პიი მე-11 წინააღმდეგ მის უკანასკნელ წერილის გამო, რომელშიაც ის ურჩევდა საფრანგეთს ზომიერება გამოეჩინა გერმანიის საკითხში. ლაპარაკობენ გერმანიისა და ინგლისის ინტრიგების შესახებ გაკვრით ლაპარაკობენ აგრეთვე ბელგიის მეფის ნაბიჯებზე, რომელსაც თითქოს უთხოვია პაპისათვის ზომების მიღება გათამამებულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ. გაზეთი „ენტრასიჟან“-ი ამბობს, რომ ასეთი რჩევის მოსმენა ბუნებრივი იქნებოდა გერმანიის მხრივ და ვატიკანის რჩევა საფრანგეთისათვის გაზეთს მიუღებლათ მიაჩნია. „ჩვენ გვინდა, ამბობს გაზეთი, რომ პირველ ყოვლისა გავაკეთოთ საფრანგეთის საქმე. ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“. მეორეს მხრივ ვატიკანში უკიდურესათ უკმაყოფილო არიან პუანკარეს ერთერთ უკანასკნელ გამოსვლით, რომელმაც თავის სიტყვაში პარლამენტში ჩამოთვალა ის სამსახური, რომელიც პაპამ გაუწია საფრანგეთს მადლობის ნიშნათ იმისათვის, რომ დაწესებულ იქნა საფრანგეთის საელჩო ვატიკანთან. პაპის წრეები პუანკარეს სიტყვას „არაჩვეულებრივ ცინიკურათ და უტაქტოთ“ სთვლიან.

ნეიტრალური სახელმწიფოები და რურის საკითხი.

ლონდონი. „მანჩესტერ გარდიენი“ იტყობინება, რომ მთელი რიგი ნეიტრალურ სახელმწიფოებისა, განსაკუთრებით ჰოლანდია, შვეცია და ნორვეგია, უკიდურესად შეწუხებული არიან რურის ოკუპაციის გაგრძელებით, რომელიც მათ დიდ მატერიალურ ზარალს აძლევს, **და კითხვას აყენებენ ნეიტრალურ სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევის შესახებ გერმანიის პრობლემის განსახილველათ და საფრანგეთის მოქმედებისათვის პროტესტის გამოსაცხადებლათ.**

ოკუპაციის გარშემო

თავს რათ იწუხებდენ.

ბერლინი. 7 აგვისტო. გაზეთების ცნობით ფრანგების მიერ ჩამორთმეული კოქსის მარაგი თავდება. საფრანგეთში ჩატანილ ნახშირისა და კოქსის რაოდენობა 80 პროც. შემცირდა. საოკუპაციო ხელისუფლება სცდილობს დანაკლისი შეავსოს ნახშირის მარაგის ჩამორთმევით დომენის ქარხნებისათვის და წინადადებას აძლევს მაღაროების მუშებს იმუშაონ ფრანგების ხელმძღვანელობით. ამ წინადადებას ცივათ ხვდებიან მაღაროს მუშები. ფიქრობენ, რომ ფრანგები შეეცდებიან მოაგვარონ ნახშირის ამოღება ჩეხიისა და პოლონელ მუშების საშუალებით.

მაღაროს მუშათა მძიმე მდგომარეობა.

ლონდონი, 9 აგვისტო. „რეიტერ“-ის სააგენტოს ცნობით, რეკლინჰაუზენის რაიონის მაღაროს მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან სურსათ-სანოვაგის გაძვირების გამო.

სადგურების დაკავება.

ბერლინი, 9 აგვისტო. ფრანგებმა დაიკავეს ლინდბურგის რკინის გზის სადგურები.

უმუშევართა გადასახლება.

ბერლინი, 9 აგვისტო საოკუპაციო მთავრობა შეუდგა რურის ოლქიდან ყველა უმუშევართა გადასახლებას.

ფრანგი შტრეიკბრეხერები.

რომი, 9 აგვისტო. ბოხუმში ადგილობრივმა მაღაროს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულთა სამაგიეროდ ოკუპანტებმა მოიყვანეს 100 ფრანგი მუშა.

ვერ შეთანხმდენ.

რომი, 9 აგვისტო. რეინლანდში საფრანგეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა რეინლანდის მრეწველებთან შეთანხმება წარმოების- წამოყენების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში

სპარსეთი.

პროტესტი ინგლისელების წინააღმდეგ.

თეირანი. 7 აგვისტო. მესოპოტამიაში ინგლისელების მოქმედების საპროტესტოდ დღეს დაიკეტა თეირანის ბაზარი —ცენტრი საზოგადოებრივ ცხოვრების.

ოსმალეთი.

ოსმალეთ-ამერიკის შეთანხმება.

ნიუ-იორკი. 7 აგვისტო. შეერთებულმა შტატებმა და ოსმალეთმა ლოზანაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთმანეთისათვის დამნაშავეთა გაცემის შესახებ და საერთო მეგობრულ და სავაჭრო ურთიერთობაზე.

უნგრეთში

მთავრობა დათმობაზე მიდის.

ვენა, 6 აგვისტო. ჰუნგრეთის რკინიგზელთა გაფიცვა ჩაქრობილ იქნა მთავრობის მიერ. დაარსდა სამხედრო-საველე სასამართლოები. რკინის გზათა სამართველომ წინადადება მისცა გაფიცულებს განაახლონ მუშაობა 3 დღის განმავლობაში, იმუქრება რა იგი სამსახურიდან დათხოვნით. დაპატიმრებულია საგაფიცვო კომიტეტი და 100 ზე მეტი რწმუნებული მუშები. მუშების მღელვარების გამო, ბეტლენმა (ჰუნგრეთის პრემიერმა) განაცხადა პარლამენტში, რომ ის სთანხმდება მთავრობას მოეწყოს პარიტეტული სატარიფო კომისიები.

სხვადასხვა ამბები

იტალია.

მე-3 ინტერნაციონალის წინააღმდეგ

რომი. 8 აგვისტო. იტალიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დირექციამ გამორიცხა პარტიიდან 3-ე ინტერნაციონალის მომხრეები და გაუშვა თავისი სექციები ნეოპოლიტანის პროვინციაში.

რომის სოციალისტების პროტესტი.

რომი. 6 აგვისტო. სოციალისტურ პარტიის რომის სექციამ მიიღო მიგრინოს რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს პარტიიდან „ნაცნაროსსა“ ჯგუფის პარტიიდან გამორიცხვის წინააღმდეგ, რომელიც (ჯგუფი) მოითხოვდა კომინტერნთან შეერთებას.

ბულგარეთი.

თეთრგვარდიელებს თავშესაფარს აძლევენ.

ვენა. 7 აგვისტო. ბულგარეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა თავის ფარგლებში მიიღოს რუსეთის ლტოლვილთა ახალი პარტია სტამბოლიდან, რიცხვით 10.000 კაცი. ამის გამო ბულგარეთის ოფიციალური გაზეთები მადლობას უცხადებენ რუს ლტოლვილთა ევაკუაციის გამგეს, ერთა ლიგის რწმუნებულს ჯონსონს. „რაბოჩი ვესტნიკ“-ი (ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ორგანოა) აღნიშნავს: „ასეთი რეაქციონური იმიგრაცია უფრო გააუარესებს ბულგარეთის მუშათა კლასის ისედაც მძიმე მდგომარეობასო“.

პროტესტი ძლიერდება.

ვენა. 6 აგვისტო. ბულგარეთში გრძელდება კომუნისტების და სტამბულინსკის მომხრეთა მასიური დაპატიმრებანი. პერნიკში და ვოგრიევოში ვრანგელის ოფიცრებმა დაარბიეს მუშათა სახლები. ბულგარეთის კომპარტია მოუწოდებს მშრომელებს განაცხადონ პროტესტი პლევნას კომუნისტების პროცესის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ის მზათ არის იბრძოლოს აგრარულ პარტიასთან ერთად მთავრობის ჩამოგდებისა, 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისა და მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენისათვის.

ფინეთი.

ამით ვერ ჩააქრობენ რევოლიუციას

ჰელსინგფორსი. 6 აგვისტო. გაზ. „კანზანტიო“ (ვიბორგის ს.-დემოკრატიულ ცენტრის ორგანოა) იუწყება, რომ უცნობმა პირებმა სასაფლაოზე რევოლიუციის მსხვერპლთა სამარეს დაადგეს ძეგლი, რომელიც მთავრობის განკარგულებით წინედ აღებული იყო.

მთავრობა აღრჩობს კომუნისტურ მოძრაობას.

ჰელსინგფორსი. 6 აგვისტო. გაზეთების ცნობით, დაპატიმრებულია 127 კომუნისტი და კიდევ განზრახულია 150 კაცის დატუსაღება. სოციალ-დემოკრატების შეკითხვაზე, გამოწვეული არის თუ არა დაპატიმრებანი კომუნისტების ახალი გეგმების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყოფითად უპასუხა. სთვლის რა მინისტრის განმარტებას არა დამაკმაყოფილებლად ფინეთის „სოციალ-დემოკრატი“ მოითხოვს კომუნისტური გაზეთების დახურვის მიზეზების აღნუსხვას.

საფრანგეთი.

პრაქტიკული ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ.

პარიზი. 7 აგვისტო. „ომში ყოფილ მონაწილეთა ასოციაციის“ კონგრესის მოწვევის გამო, ანრი ბარბიუსი გაზ. „იუმანიტეში“ (საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ორგანოში) აღნიშნავს, რომ ასოციაცია მიზნათ ისახავს პრაქტიკულ ბრძოლას ანტიმილიტარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა უნდა აწარმოონ პროლეტარულმა პარტიებმა.

პროფინტერის ზრდა.

პარიზი, 7 აგვისტო. საფრანგეთის რკინისგზელთა ნაციონალურმა კონგრესმა, რომელიც შედიოდა შრომის უნიტარულ კონფედერაციაში, 52.000 ხმის უმეტესობით 10.000 ხმის წინააღმდეგ მიიღო ხემარის რეზოლიუცია კომუნისტურ სინდიკალურ კომისიების შესახებ და დაადგინა შეუერთდეს პროფინტერნს.

პორტუგალია.

ახალი პრეზიდენტი.

ლიფილდი. 7 აგვისტო. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ პორტუგალიის პრეზიდენტად აირჩიეს ლონდონში მყოფი პორტუგალიის ელჩი გომეცი.

საბერძნეთი.

იტალიასთან დაახლოვებას სცდილობს.

ვენა. 7 აგვისტო. რუმინეთის გაზეთების ცნობით, რადგანაც საბერძნეთი მცირე ანტანტამ არ მიიღო თავის წევრად, იგი სცდილობს იტალიასთან დაახლოვებას და რომში დელეგაციასა ჰგზავნის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

ირლანდია.

ირლანდიის მუშათა პარტიის ყრილობა.

ლიფილდი, 7 აგვისტო. დუბლინში გაიხსნა ირლანდიის მუშათა პარტიის ყრილობა. დე-ვალერას მომხრეებმა გამართეს რამდენიმე მიტინგი, რომლებზედაც მოითხოვდენ პოლიტიკურ პატიმართა გამთავისუფლებას.

რომი. 9 აგვისტო. დუბლინში დიდი არეულობა დაიწყო.

კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავისთვის.

14 აგვისტოს სრულდება კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის თავი.

12 აგვისტოს, კვირას, საღამოს 7 საათზე წითელარმიელების ნაწილები მუშების დელეგატებთან ერთად მართავენ კრებებს. კრებები დანიშნულია შემდეგ ადგილებში:

1. ნავთლუღი—სამხედრო ჰოსპიტალი.
2. არსენალის მთა—საგუშაგო ბათალიონის კლუბი.
3. ავლაბარი—მე 9 პოლკი.
4. მუშათა ცენტრალური კლუბი—მიხეილის პროსპ.
5. პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„სტელლა“.

ყველა ამ კრებებზე საჭიროა გაიგზავნონ მუშათა დელეგაციები, ხოლო პირველმა და მეოთხე რაიკომებმა უნდა მოამზადონ კლუბები, მორთონ დროშებით, დანიშნონ პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომელნიც წესრიგს დაიცავენ.

საჭიროა ყველა რაიონებმა კავშირი დაიჭირონ სათანადო ჯარის ნაწილებთან.

კრებებზე მომხსენებლებს გაგზავნის კავკასიის ცალკე არმია.

მისასალმებელი სიტყვებით უნდა გამოვიდენ კრებაზე დამსწრე—მუშებიც.

ორშაბათს, 13 აგვისტოს, გაიმართება საბჭოს საზეიმო სხდომა.

სამშაბათს, 14 აგვისტოს, დილის 10 ნახ. საათზე გაიმართება ალლუმი თავისუფლების მოედანზე.

იმის გამო, რომ სამშაბათი არ არის უქმე დღე, მუშების მონაწილეობა ამ ალლუმში გამოიხატება რაიონებიდან 150—200 კაცისაგან შემდგარ დელეგაციების გაგზავნაში.

დროშებით და პლაკატებით მუშათა დელეგაციები უნდა შეიკრიბონ პროფკავშირთა საბჭოსთან, საიდანაც მწყობრად გაემართებიან თავისუფლების მოედანზე.

საჭიროა წარმოებებში ჩატარდეს წინასწარი სააგიტაციო კამპანია მოხსენებების სახით.

მომხსენებელი უნდა მოითხოვონ კავკასიის ცალკე არმიის პოლიტგანყოფილებაში.

ტფ. კომიტ. საგ.-საპრ. განყოფ. გამგე მ. ეხსენი.

ავსტრია.

ფაშისტები მუშაობენ.

ვენა, „არბაიტერ ცაიტუნგ“-ი იტყობინება, რომ გამოძიებამ, რომელსაც ვენის პოლიცია აწარმოებდა სტუდენტ კარგერის მკვლელობასთან დაკავშირებით, სოციალ-ნაციონალისტების მთელი რიგ ტერორისტულ ორგანიზაციების კვალს მიაგნო. აღმოჩენილ იქნა იარაღის საწყობები და იმ პირების პროსკრიპციული სიები, რომელნიც არ თანაუგრძნობდენ ნაციონალისტურ მოძრაობას სტუდენტი კარგერი, როგორც გამოირკვა, მოკლული იქნა იმისთვის, რომ არ მოისურვა ამდგარიყო პატრიოტულ სიმღერის შესრულების დროს. ვენის გაზეთები მოითხოვენ გადამწყვეტ ნაბიჯების მიღებას ნაციონალისტურ ტერორისტულ ორგანიზაციების მოსპობის მიზნისათვის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

რენტგენის ინსტიტუტის დაარსება.

მოსკოვი. 8 აგვისტო. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა აუცილებლათ სცნო სახელმწიფო რენტგენის ინსტიტუტის დაარსება.

ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის აღდგენის გეგმა.

მოსკოვი. 8 აგვისტო. სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ მიიღო ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის აღდგენის 5 წლიანი გეგმა ს. ს. რ. კ. მინიმალურ მოთხოვნილებათა ფარგლებში. თუჯის ამოღება 5 წლის ბოლოში 25 მილ. ადის 75 მილ. წელიწადში. მარტენის წარმოება და ლითონის დამუშავება იმავე ვადის განმავლობაში 2 ნახ. გადიდდება.

პროცესუალურ კოდექსის შემოღება.

მოსკოვი. 8. აგვისტო. 1 ენკენისთვიდან შემოღებული იქნება სამოქალაქო პროცესუალური კოდექსი, რომელიც მიღებული იყო სრ. რუს. ც. ა. კ—ის უკანასკნელ სესიაზე.

უკრაინა

ოდესის მუშები—შავი ზღვის მეზღვაურებს.

ოდესა. 7 აგვისტო. ოდესაში 2 დღის განმავლობაში იმართებოდა შავი ზღვის მეზღვაურთა საპატივსაცემო კრებები. ქალაქის საბჭოს პლენუმზე საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს წევრებს, რომ ოდესის პროლეტარიატმა შეფობა მიიღო წყალქვეშა ნავების მეზღვაურთა ჯგუფზე და აგრეთვე გადადებულ იქნა 20.000 მანეთი, წიგნების შესაძენათ გემების ბიბლიოთეკისათვის. შავი ზღვის საზღვაო ძალების რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მოწოდებაში, მუშებისა და ახალგაზრდა კომუნისტებისადმი აღნიშნულია, რომ ოდესის პროლეტარიატის კავშირი შავი ზღვის რევოლიუციონურ ფლოტთან, რომელიც პოტემკინის დროიდან მომდინარეობს, კიდევ უფრო გამტკიცდა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ადგილების მზადება გამოფენისათვის.

მოსკოვი, 8 აგვისტო. ადგილები ჩქარის ტემპით ემზადებიან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. გომელის გუბერნიიდან გამოფენაზე იგზავნება 625 ექსკურსანტი გლეხი. ვოლოგდა გზავნის „ჩრდილოელ გლეხის სახლს“ მთელი მოწყობილებითა და ინვენტარით. ერევანი გზავნის შინამრეწველობის 620 ექსპონატს.

უცხოეთის ფირმები გამოფენაზე.

მოსკოვი. 8 აგვისტო. უკანასკნელ ცნობების თანახმათ, ს. ს. რ. კ-ის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ 250-ზე მეტი უცხოეთის ფირმა, რომლებმაც უკვე გაგზავნეს თავისი ექსპონატები მოსკოვში. გერმანია წარმოდგენილია 87 ფირმით, ამერიკა—45-ით, ავსტრია—19-ით, ჩეხო-სლოვაკია—17-ით. სპარსეთი მონაწილეობს გამოფენაზე მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. ლატვია გამოფენაზე გადმოაქვს თავისი პავილიონი რეველის გამოფენიდან.

ნაციონალური საკითხი

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება ბაქოს საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე.

ამხანაგებო, ნაციონალური საკითხი მეთორმეტე ყრილობის მოწვევის წინა დღეებში და მის შემდეგ გახდა ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრი. ბევრ ამხანაგს მეთორმეტე ყრილობამდი ეგონა, რომ არ არის არავითარი საბუთი ამ საკითხის ყრილობის დღის წესრიგში დასასმელათ. მაგრამ გამოირკვა, რომ ამ საკითხის წამოყენების მიზეზი ვიყავით თვით ჩვენ, ამიერ-კავკასიელი ამხანაგები, კერძოდ კი ქართველი ამხანაგები.

იმ განგაშმა, რომელიც ასტყდა საქართველოს საკითხის გარშემო საზღვარ გარეთ და თვით საქართველოს პარტიის შიგნით, იმ ბრძოლამ, რომელმაც ყოვლათ მახინჯი სახე მიიღო, ფრაქციულმა ბრძოლამ, რომელიც იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის შიგნით, აიძულა ჩვენი ამხანაგები ცენტრში დღის წესრიგში დაესვათ ეს საკითხი და ყოველმხრივ განეხილათ ის. თქვენ ალბათ გახსოვთ ამხ. ლენინის გამოსვლა ამ საკითხში. ამხ. ლენინს და ბევრ ჩვენს ამხანაგს მეთორმეტე ყრილობამდი ეგონა, რომ თუ სადმე მახინჯ ფორმებში ტარდება ნაციონალური პოლიტიკა, ეს სწორეთ ამიერ-კავკასიაში, კერძოთ კი საქართველოში.

ჩვენმა ამხანაგებმა, ე. წ. უკლონისტებმა, მოახერხეს შეექმნათ ასეთი შთაბეჭდილება იმის წყალობით, რომ იმათ შორის, რომლებმაც ასტეხეს განგაში და ყვირილი ვითომდა ჩვენი ანტიმარქსისტული, ანტიპარტიული ნაციონალური პოლიტიკის გამო —იყვნენ ამხანაგები, რომლებიც 20—30 წელიწადია ჩვენს პარტიაში არიან. იქმნებოდა ასეთი შთაბეჭდილება: თუ ასეთი ძველი, პატივცემული, ბრძოლაში გამობრძმედილი ამხანაგები ასეთ ხმაურს სტეხენ, აშკარაა, საქმე ვერ არის კარგათ. მეთორმეტე ყრილობამ დაამტკიცა, რომ ეს ამხანაგები ღრმად ცდებოდენ. თუ მეთორმეტე ყრილობაზე მიდიოდენ ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ტყავს გაგვაძრობდენ ჩვენ, მეთორმეტე ყრილობიდან ისინი თვითონ დაბრუნდენ ტყავგამძვრალი.

მეორე მომენტი, რის წყალობითაც პარტიამ ნაციონალურ საკითხს მიაქცია დიდი ყურადღება, იყო ივნისის თათბირი, სადაც გამოირკვა, რომ თათბირზე არიან მთელი რიგი ისეთი პირებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი ც. კ. პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში, კომუნისტური ინტერნაციონალის პოლიტიკა ამ საკითხში, კერძოთ კი აღმოსავლეთის საკითხში, მთლად შემცდარია და ამიტომ ამ საკითხის გადაჭრა უნდა ვეძიოთ არა ჩვენი პარტიის შიგნით, არამედ მის გარეთ.

თქვენ ალბათ გეცოდინებათ, ამხანაგებო, რომ ივნისში მოწვეული იყო განაპირა რაიონებში მომუშავე ყველა ამხანაგების სასწრაფო თათბირი იმ საკითხის განსახილველათ, თუ რა ხდება განაპირა რაიონებში ნაციონალური საკითხის დარგში.

მაგალითად თათარისტანიდან მოხსენების გაკეთების შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ თათარისტანს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში არ შეუძლია იმისი თქმა, რომ ის დარჩა რუსეთის გერად. თათარისტანის რესპუბლიკის თავმჯდომარემ გვაუწყა ჩვენ, რომ იქ, თათარისტანის რესპუბლიკაში, სახალხო განათლების მოწყობის საქმეში, სახელმწიფო ორგანოების ენის საქმეში, მიაღწიეს კოლოსალურ შედეგებს. საშუალო და დაბალ სკოლაში სწავლა სწარმოებს თათრულ ენაზე, ლიტერატურა გამოდის, გაზეთები აქვთ. ამ მხრივ თათარისტანი უფრო წინ სდგას, ვიდრე აზერბაიჯანი

ადგილებიდან მოხსენებებმა დაამტკიცა, რომ მიუხედავათ ნაკლისა ნაციონალურ პოლიტიკაში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში მაინც ბევრი გაკეთდა. ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც მეთორმეტე ყრილობაზე ფიქრობდენ, რომ არავითარი ადგილობრივი ნაციონალიზმი არ არსებობს, არამედ არის თითქმის მთელ მსოფლიოში ერთადერთი ველიკორუსული შოვინიზმი, ზოგიერთი ეს ამხანაგები იძულებული გახდენ უკანასკნელ თათბირზე ეღიარებიათ, რომ საჭიროა აგრეთვე ადგილობრივ ნაციონალიზმთან, მაგრამ პირველ რიგში ველიკოროსულ შოვინიზმთან ბრძოლის წარმოება.

ამაზე მივაქცევთ თქვენს ყურადღებას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ, რომლებიც გამოვედით ამ წვრილი ერებიდან, არ ავცდეთ სწორ გზას, არ დავივიწყოთ ის, რომ თუ არის რუსული შოვინიზმი, არის აგრეთვე ქართული, აზერბაიჯანური და სომხური შოვინიზმიც. ურთიერთობა სომხებსა და აზერბეიჯანელებს შორის ახლა არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლიუტურ ნორმალურად. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნაციონალიზმის ძველი ფორმები. ვინც სხვა ნაირად ფიქრობს, თავს იტყუებს. განა ამ ნაციონალიზმის გამომჟღავნებას ერთი მეორეს მიმართ ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე ნაციონალიზმს? განა ჩვენთვის აქსიომას არ შეადგენს ის, რომ ამიერ-კავკასიის ერებში ნამდვილი ინტერნაციონალური სოლიდარობის დაუმყარებლად ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ დავდგამთ წინ? რასაკვირველია, რუსულ შოვინიზმთან საჭიროა ბრძოლა და ჩვენი პარტია არასოდეს არ შეჩერებულა ამ ბრძოლის წინაშე.

ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ბრძოლა სწარმოებდა იმის გარშემო, თუ როგორ მოვაწყოთ ამიერ-კავკასიის ერების ძმური ცხოვრება. ზოგიერთი, მეტად ავტორიტეტული რუსი ამხანაგები ფიქრობენ, რომ მთავარი საკითხია ველიკოროსული საკითხი. მე კარგად არ მახსოვს, ბუხარინმა თუ რადეკმა ყრილობაზე პირდაპირ სთქვა: „ბუდუ მდივანმა რომ ცოტა მიბეგვოს სომხები, ეს არაფერია, ოღონდ არ იყოს ველიკოროსული შოვინიზმი“. უკაცრავად, მაგრამ რომ ბუდუ მდივანმა მიბეგვოს სომხები ეს დიდი უბედურება იქნება ჩვენთვის, უფრო დიდი უბედურება იქნება, რომ მუსლიმანმა ამხანაგებმა მიბეგვონ სომეხი ამხანაგები. ჩვენ ვიცით ასეთი შეტაკებების შედეგი და ამიტომ ვერ დავეთანხმებით ამხანაგებს, რომლებიც ამბობენ: „თქვენ აწარმოვეთ ბრძოლა მხოლოდ ველიკოროსულ შოვინიზმთან. დანარჩენს დაანებეთ თავიო“

მე მეუბნებოდენ: „რა დიდი საქმეა, თუ ცოტა შეცდომებს დაუშვებთ აჭარისტანში, ეს არაფერია. ამის გასწორება შეიძლება. მაგრამ თუ შეცდომებს დაუშვებენ მოსკოვის წარმომადგენლები, ამას ექნება მსოფლიო მნიშვნელობა“. აქ მეორე ნაწილი მართალია. მოსკოვის წარმომადგენლებმა ამიერ-კავკასიაში რომ დიდმპყრობელობა გამოიჩინონ, ეს სახელს გაუტეხს საბჭოთა რუსეთს ამიერ-კავკასიის მშრომელებს თვალში, მაგრამ პირველი შემთხვევა არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან—ამიერ-კავკასიის ერებს შორის ნაციონალური ურთიერთობის გამწვავება არ უნდა დაუშვათ. ჩვენ არაფერი კომუნისტები ვიქნებოდით, რომ ეს დაგვეშვა.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ მეთორმეტე ყრილობის და ივნისის თათბირის შემდეგ ის ამხანაგები, რომლებმაც წამოაყენეს ეს საკითხი, მართალი იყვენ. თუ ამხ. ლენინი გამოვიდა ამ საკითხის გამო, თუ მან აიძულა პარტია მთელი თავისი ყურადღება შეეჩერებია ნაციონალურ საკითხზე, ის აბსოლიუტურად მართალი იყო. მართალი იყო, რასაკვირველია არა იმ მხრივ, რომ ჩვენ აქ ყველაფერი ავრიე დავრიეთ და დავამახინჯეთ მისი პოლიტიკა, მისი ხაზი ნაციონალურ საკითხში. თქვენ იცით, რომ მეთორმეტე ყრილობაზე და შემდეგ, თათბირზე საკითხის გადაჭრა ხდებოდა მთლიანად და სავსებით ლენინის სკოლის მიხედვით.

თვალი გადავავლოთ ამიერ-კავკასიას. როგორ ტარდება აქ ლენინის ხაზი ნაციონალურ საკითხში? მთელ ჩვენს კავშირში ჩვენი პარტიის ნაციონალურ პოლიტიკაში კეთილდღეობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს და სომხეთს, მეორე თათარისტანს და მესამე აზერბაიჯანს. ეს დამტკიცდა მეთორმეტე ყრილობაზე და ივნისის თათბირზე. იქ წამოყენებული იყო საკითხები ენის, სახელმწიფო აპარატების ნაციონალიზაციის, არმიის და უფშემადგენლობის სკოლის შესახებ. ყველა ეს საკითხები დიდი ხანია პრაქტიკულად არის წამოყენებული ჩვენში და ნაწილობრივ კიდეც არის გადაჭრილი. არსად, არც ერთ ავტონომიურ და არც ერთ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში თქვენ ვერ ნახავთ ნაციონალურ ჯარს. ჩვენში კი არის. ეს ჩვენ გავაკეთეთ მეთორმეტე ყრილობამდის. ჩვენში დიდი ხანია არსებობს უფშემადგენლობის სკოლები, უკვე რამდენჯერმე მოხდა გამოშვება ამ სკოლებიდან. საქართველოშიც, სომხეთშიც და აზერბაიჯანში სამხედრო სწავლება სწარმოებს სამშობლო ენაზე, სამშობლო ენა საქართველოში და სომხეთში ფაქტიურად არის სახელმწიფო ენა.

ახლა სახელმწიფო აპარატების შემადგენლობის შესახებ საქართველოში 50-დან 70—75 პროცენტამდე ქართველებია, ზოგიერთ დაწესებულებებში კი უფრო მეტი. თუ თქვენ აიღებთ საქართველოს პარტიას; იქ 71 პროცენტი ქართველებია, 29 პროცენტს კი შეადგენენ ოსები, აჭარლები, სომხები, აფხაზები და საქართველოში მცხოვრები სხვა ერები, საქმის წარმოება თითქმის მარტო ქართულ ენაზე ხდება. აიღეთ პარტიის ც. კ. ც. კ. წინანდელ შემადგენლობაში არ იყო არც ერთი არაქართველი, ხოლო ახლანდელ შემადგენლობაში არის მხოლოდ ორი თუ სამი არა-ქართველი. განა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ იქ ვაწარმოებდით კოლონიზატორულ პოლიტიკას?

სომხეთში საქმე უკეთესადაა. იქ სახელმწიფო აპარატში 85—90 პროცენტი სომხებია. ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ მოვიკოჭლებთ—აზერბაიჯანია. ამას არ ვმალავთ, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. აქ თავს იჩენს აზერბაიჯანის კულტურული ჩამორჩენილობა. მე პორტფელში მაქვს წიგნი, რომელიც დასწერა მუსავატისტების ლიდერმა მამედ-ემინ რასულ-ზადემ, რომელიც ამბობს, რომ 1905 წლამდი აზერბეიჯანის თურქებს გაზეთიც არ ქონდათ. დაიწყო გამოსვლა ორმა გაზეთმა, რამდენიმე ნომრის შემდეგ შესწყვიტეს არსებობა. თითქმის არ იყო თურქული ინტელიგენცია.. ის ამბობს, რომ მუსავატისტების დროს აზერბაიჯანის არმიის მეთაურთა შემადგენლობის 50 პროცენტს არა-აზერბაიჯანელები შეადგენდენ, ამ მეთაურთა შემადგენლობის შევსება ვერ მოხერხდა ვერც ოსმალო ოფიცრების მოწვევით. ასე იყო მასწავლებლების საკითხში და სხვა. სახელმწიფო დაწესებულებები მუსავატისტების დროს სავსე იყო ძველი, მეფის დროის მოხელეებით. ახლანდელი მდგომარეობა რომ წარსულს შევადაროთ, დავინახავთ, რომ ახლა ჩვენ სკოლებიც მეტი გვაქვს, მოსწავლებიც და მასწავლებლებიც მეტი გვყავს, მიუხედავათ იმისა, რომ განათლების საქმეში ნელის ნაბიჯით მივიწევთ წინ.

მაგრამ შეიძლება ამით იმის თქმა, რომ ყველაფერი გაკეთებულია და ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული, გულხელდაკრეფილი ვიყოთ? სრულიადაც არა. ჩვენს წინაშე დგას უაღრესად რთული და დიდი საკითხი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერების კულტურულ-ეკონომიური აღორძინების საკითხი—ეს საკითხი დღეს მწვავედ დგას, ერთი წლის შემდეგ, შეიძლება ის უფრო გამწვავდეს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, როცა ბურჟუაზია ცოტათი აღორძინდა, კონკურენცია სომხეთისა და აზერბაიჯანის ბურჟუაზიას შორის იქნება, და იქნება ულმობელი. ეს ბრძოლა გადაეცემა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ინტელიგენციას, მისი საშუალებით კი შემოიჭრება ჩვენს პარტიაშიც ისე, რომ ახლობელ წლებში ჩვენ უნდა მოველოდეთ ნაციონალური ურთიერთობის გამწვავებას.

თქვენ ალბათ იცით, რომ მთელი სავაჭრო საქმე როგორც მეფის, ისე მენშევიკების დროს სომხების ხელში იყო. ახლა, როცა კერძო თაოსნობას ერთგვარი თავისუფლება მიენიჭა, სომეხი ვაჭრები კვლავ გამოჩნდენ და ხელში იგდებენ მანუფაქტურის საქმეს და სხვა ვაჭრობას, უსუსური ქართველი ვაჭრუკანები კი გაყვირიან, რაც ძალა შესწევთ, რომ თბილისს ხელში იგდებენ სომხები. ამ ყვირილს ბანს აძლევს ქართველი ინტელიგენცია და მისი საშუალებით იჭრება ჩვენს პარტიაშიც. ძლიერ ხშირათ მეტად პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგებიც გაიძახიან, რომ დაიწყო საქართველოს „არმენიზაცია“. მე ამაზე ჯერ კიდევ პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე მიუთითე. აი როგორი იქნება მდგომარეობა, თუ გამწვავდა ნაციონალური ბრძოლა ამიერ-კავკასიის ერებს შორის, თუ ველიკოროსული შოვინიზმი ბანკების და ტრესტების საშუალებით შეტევაზე გადმოვიდა; ამ ბანკებში და ტრესტებში კი სხედან ძველი „საქმის კაცები“, რომელთათვის ნაციონალური საკითხი არ არსებობს, ისინი ძველებურად განაგრძობენ მუშაობას და გამოიწვევენ მტრულ დამოკიდებულებას ადგილობრივ მცხოვრებლების მხრივ.

ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, შეტაკება მოხდება უსათუოდ, თუ ჩვენი პარტია არ აიღებს სწორ ხაზს და არ გაატარებს სწორ მუშაობას ამ მიმართულებით, ეს ერთი მხარე.

მეორე მხრით ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კიდევ აი რატომ. ნაციონალური საკითხის სწორად გადაუჭრელად ჩვენ ვერასოდეს ვერ შევქმნით ნამდვილათ მტკიცე, სრულ ნდობაზე და თანამშრომლობაზე დამყარებულ საბჭოთა სახელმწიფოების კავშირს. თქვენ იცით მრავალ-ერებიან სახელმწიფოების ბედი. აიღეთ თუგინდ ავსტრო-ჰუნგრეთი. საკმაო იყო იმპერიალისტური ომი და ავსტრო-უნგრეთის იმპერიისაგან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა. ავსტრო-ჰუნგრეთი დაიშალა ომის პირველსავე დღეებში. და ის ჩეხო-სლოვაკები, რომლებიც ჩვენში, ვოლგაზე, შემდეგ ურალზე და ციმბირში კონტრ-რევოლიუციონური აჯანყებების პირველი მებაირაღტრენი იყვენ, ისინი ავსტრო-ჰუნგრეთიდან იყვენ გამოსული. ეს ჩეხო-სლოვაკები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გაიწვიეს ჯარში, ტყვეთ ვარდებოდენ და რუსეთში მოაწყვეს ლეგიონები თავის სახელმწიფო ავსტრიასთან საბრძოლად. ამ მოვლენის ახსნა იმით, რომ ჩეხები კონტრ-რევოლიუციონერები, არამზადები და მოღალატეები არიან—არ შეიძლება. აშკარაა, თვით ავსტრო-ჰუნგრეთის შიგნით იყო ისეთი პირობები, რომლებიც მოქალაქეების ერთ ნაწილს აიძულებდა ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ წასულიყო.

ამხ. სტალინმა პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე საუცხოვოდ დაასურათა ეს მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ ავსტრო ჰუნგრეთში იყო სამი გაბატონებული ერი; გერმანელები, პოლონელები და ჰუნგრელები ყველა დანარჩენები იყვენ მეორე ხარისხოვანი მოქალაქენი.

ეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ. ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერიის დაშლა იმის მაგალითს იძლევა, რომ მრავალ-ერებიანი სახელმწიფო თუ ის აგებული არ არის ურთიერთ ნდობასა და თანამშრომლობაზე, ვერ გაუძლებს გამოცდას და დაიშლება. თუ საერთოდ ყველა სახელმწიფოების წინაშე დგას ომის საფრთხე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის ეს საფრთხე არსებობს ყოველ-დღე. გუშინ ომი კინაღამ მოგვახვია კერზონმა, მაგრამ ის ავიცილეთ ჩვენი მოხერხებული პოლიტიკის წყალობით. ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ მიმართავს ხვალ კერზონის პოლიტიკას. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ გარშემორტყმული ვართ მტრებით, მეგობრები გაბატონებულ კლასებში მთელ მსოფლიოში არ გვყავს, ისინი კი ატრიალებენ მთელი თანამედროვე სახელმწიფოების საქმეებს და ეს სახელმწიფოები ყოველ წუთში მზად არიან დაგვესხან თავს და გადაგვყლაპონ.

როგორ გაუმაგრდებით ჩვენ მათ?

ტფილისის საბჭოს სხდომა
გადაიდო

ორშაბათს, 13 აგვისტოსათვის და გაიმართება რუსთველის თეატრის დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის იუბილე.
2) საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.
3) ამიერ-კავკასიის საჰერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მოწყობის შესახებ.

საბჭოს პრეზიდიუმი.

---

4 აგვისტოდან **12 აგვისტომდე**

საჰაერო ფლოტის კვირეულია.

ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

ჰაეროდრომზე საჰაერო ფლოტის ალლუმი.

პარასკევი, 10 აგვისტო: ნაძალადევი „წითელი არწივები“. ავლაბრის კლუბში—მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

შაბათი, 11 აგვისტო: ავლაბრის კლუბი—„წითელი არწივები“. „ახალ წრეში“ **დიდი სეირნობა.**

კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა,** კაბარე.

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია

აცხადებს, რომ 6 აგვისტოდან ჰაეროდრომზე მოხდება

სანიმუშო გაფრენა

მუშებისა და ექსკურსიებისათვის. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ყველა საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ექსკურსიებთან, უნდა მიმართონ ტფილისის კომიტეტში ამხ. ნაზაროვს და საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომს. ტელეფონი 17—38 ან 2—46.

ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში მუშტაიდის ბაღში, კახეთის და ვაგზლის მოედნებზე და ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში

აჩვენებენ აეროპლანებს

სათანადო განმარტებებით.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

„რაკოვსკის თუ კერზონის საქმე“

(„პრავდა“-ს წერილი)

მოსკოვი. 9 აგვისტო. „პრავდა“ მოწინავე წერილში: „რაკოვსკის თუ კერზონის საქმე“ სწერს: „ინგლისის შავრაზმელთა გაზეთმა დაბეჭდა წერილი, რომელშიაც მოყვანილია ამხ. რაკოვსკის სიტყვიდან ყალბი ციტატები. გასაგებია, რომ ლორდ კერზონი და ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო აქ არაფერ შუაშია... იგი სჩადის სიყალბეს მაშინ, როდესაც იმედი აქვს, რომ არ შეიძლება სიყალბის დამტკიცება. გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელმაც ინტერპელიაცია შეუკვეთა ყალბი ციტატებით დაბეჭდილ წერილის გამო, ეცნობა ამ ყალბ მასალებს ამხ. რაკოვსკის კეთილსაიმედოობის შესახებ, რომელსაც (რაკოვსკის) ჯერ კიდევ არ მიუღია ვიზა.

ამას კარგად უნდა გაეცნონ ს. ს. რ. კავშირის მშრომლები. მათ უნდა იცოდენ, როგორ ეპყრობა კაპიტალისტების ინგლისი 150 მილ. მუშათა და გლეხთა წარმომადგენელს. ჯერ-ჯერობით კი რაკოვსკი შეუდგება მოსკოვში მყოფ ინგლისის წარმომადგენლების ბიოგრაფიის შესწავლას. ინგლისის მთელი მისია შესდგება იმ პირთაგან, რომელნიც იყვნენ ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებად კოლჩაკის და დენიკინის დროს. საბჭოთა მთავრობამ, თუმცა იცოდა ეს, მაინც დასთანხმდა, რადგან ფიქრობს, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენელს მოეთხოვება მხოლოდ ის, რომ ის არ ჩაერიოს იმ ქვეყნის შინაურ საქმეებში, სადაც ის გაიგზავნა.

ინგლისის მთავრობა სხვაგვარად მოქმედებს. აქ შეიძლება იყოს ორი განმარტება: ის მოითხოვს, რათა საბჭოთა წარმომადგენელი იყოს ინგლისის იმპერიალიზმის თაყვანისმცემელი ან და ეშინია საბჭოთა წარმომადგენლობის“.

პირველი მოსაზრება იქნებოდა გონების სიჩლუნგის დამტკიცება, რადგან ყველამ კარგათ იცის, რომ ამ ჟამად ინგლისში გაბატონებული ხროვა არის რუსეთის ხალხის მტერი. თუ მართალია მეორე—დეე ინგლისის მთავრობამ აშკარად განაცხადოს ეს. მაშინ ცხადი იქნება, რომ კერზონს სურს საბჭოთა ხელშეკრულების დარღვევა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

უპარტიო გლეხები ამხ. ლენინს.

ბაქო. 8 აგვისტო. ბალახანა—საბუნჩის რაიონის თურქ უპარტიო გლეხების კონფერენციამ მოსკოვში ამხ. ლენინის სახელზე დეპეშა გაგზავნა, რომლითაც მის პიროვნებაში სალამს უძღვნის მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ბელადს და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მესაჭეს. თურქი გლეხები ღრმად არიან დარწმუნებული მსოფლიო კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებაში. დეპეშაში ნათქვამია: „შენი ავადმყოფობა, ძვირფასო ილიჩ, გულსა გვწყვეტავს. ჩვენ სულით და გულით ვნატრობთ შენს განკურნებას და პროლეტარულ რევოლიუციის მესაჭედ დაბრუნებას. შენის ხელმძღვანელობით და ჩვენის ნებისყოფით ჩვენ სწრაფად შევძლებთ დანგრეულ სასოფლო მეურნეობის აღდგენას“-ო,—ნათქვამია დეპეშაში.

ბაქოს ტრამვაი.

ბაქო. 8 აგვისტო. აგვისტოს 7-ს მოხდა ბაქოს ქალაქის საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა ბაქოს ტრამვაის საკითხი. ამხ. ვარეიკის დაწვრილებითი მოხსენებით გამოვიდა ტრამვაის შესახებ, დეტალურად შეეხო სატრამვაიო კომიტეტის მუშაობის ყოველს პუნქტს, შეკვეთილობას და თვითონ სამუშაოს წარმოებას. მომხსენებელმა რწმენა გამოსთქვა, რომ ზოგიერთ უბნებში ტრამვაი დეკემბერშივე ამუშავდება, ხოლო თებერვალში კი ტრამვაის ვაგონები ყველა ლიანდაგებზე იმოძრავებს.

სომხეთი

მუშათა ცენტრალურ კლუბის წლის თავი:

ერევანი. 9 აგვისტო აგვისტოს 7-ს ერევანში იდღესასწაულეს მუშათა ცენტრალური კლუბის წლის თავი.

გაზეთების სააგენტო.

ერევანი. 9 აგვისტო. ერევანში დაარსდა გაზეთების სააგენტო, სადაც მიიღება ხელისმოწერა რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ჟურნალ-გაზეთებზე და სხვა გამოცემებზე.

პარტიული ცხოვრება

ყველა სარაიონო კომიტეტებს.

ქართული მუშათა ფაკულტეტზე ტფილისის ორგანიზაციას 16 ადგილი დაეთმო. განცხადებები უნდა გაიგზავნოს საქ. კ. პ. ტფ. კ-ის საგიტ.-საპროპ. განყოფილებას არა უგვიანეს 25 აგვისტოსი.

ტფ. კ—ის საგიტ.-საპროპ. გან. გამგე. **მ. ესხენი.**

⁂

ყველა სარაიონო კომიტეტებს

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში ტფილისის ორგანიზაციას 12 ადგილი დაეთმო. ყოველ რაიონს ხვდება 3 ადგილი

ვინაიდან მიღებისას მოხდება ცოდნათა გამოცდა და შესაძლებელია, რომ ყველა კანდიდატები არ გამოდგენ მომზადებულათ, სააგიტ.-საპროპ. განყოფილება წინადადებას გაძლევთ დანიშნოთ 3 მაგიერ 5—6 კანდიდატი.

მთავარი მოთხოვნილება მიღებისათვის:

„ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“—**ბოგდანოვისა**, „შრომის ისტორია“—**პოკროვსკისა**. „სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მიმოხილვა“—**ბატურინისა**, „ძირითადი მომენტები კომ. პარტიის განვითარებისა რუსეთში“—**ბუბნოვისა**, „რუსეთის კომ. პ. ისტორია“—**ზინოვიევისა**, „სახელმწიფო და რევოლიუცია“—**ლენინისა**, რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუცია—**სტუჩკასი.**

განცხადებების მიღება პირველ სექტემბრამდე ტფილ. კ-ის საგიტ. საპროპ. განყოფილებაში.

ტფ. კ-ის საგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგე **მ. ესხენი.**

ეკონომიური ცხოვრება

სპარსეთი და ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

პასუხათ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ამა წლის 2 აგვისტოს დადგენილებისა ჯულფის საბაჟოში მომხდარ ინციდენტის გამო (იხ. „კომუნისტი“ № 181) საგ. ვაჭ. სახ. კომისარიატმა მიიღო თეირანიდან დეპეშა ამხ. შუმიაცკისაგან, რომელიც სპარსელ ვაჭართა სახელით სწერს:

„**გულითად მადლობას გიგზავნით ენერგიულ ზომების მიღებისათვის,** რაც მაჩვენებელია ჩვენთვის და აღმოსავლეთის ერებისათვის ძვირფასი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხიმძლავრისა. 5 აგვისტო“.

ვალიუტის კურსი თბილისში.

(9 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	24 500
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	24,400
ჩეკები —	22,000
დოლარი ეფექტ. — —	5,900
ჩეკები	5,300
ოსმალ ქაღ. ლირა ეფექტ.	3750
იტალიური ლირა — —	180
ფრანგული ფრანკი —	250
საბჭოთა ფულის ნიშ.	17

მუშკოპის ფასები.

(9 აგვისტო)

პური გირ.—9 ათ. ყუბანის ფქვილი გირ. 1 ხარ.—200 ათ., ფხვნ. შაქარი 1 მილ. ძროხის ხორც. გ.—450 ერბო—960. კარაქი—1 500 ათ., ჰოლანდიური ყველი 600 ათ., საპონი „ტოლლე“ 550 ათ., მარმარილოს საპონი—500, ხანის ბრინჯი—300. კარტოფილი — 75 ქარხალი — 50 კომბოსტო—70. პამიდორი—100. ბადრიჯანი—30 ათ. ც. წითელი ლობიო—25 მწვანე ლობიო—75. ხახვი—125. ზეთი—450. თუშური ყველი—700.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(9 აგვისტო)

პური 1 ხარ.—200-250, პური 2 ხარ. 100—150; ფქვილი 1 ხ.—240 ნატეხი შაქარი—1.800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1 400 ერბო 1.200 ათ., კარაქი—1.200-1 400. მზესუმზირას ზეთი-700. აგდაშის ბრინჯი—300. ძროხის ხორცი—400-550; ცხვრის ხორცი—700. წითელი ლობიო 50. მწვანე ლობიო—80—100. პამიდორი 80—100. კართოფილი—80—100. კომბოსტო 80 ათ. ქარხალი—70 ბადრიჯანი—30-50 ათ. ც. ხახვი გირ—100 120 კვერცხი 10 ც.—550 600 ათ. თუშური ყველი-700-800.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(9 აგვისტო)

გაზისა და წყალსადენის მილები. სახურავის რკინეულობა. ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტიკური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. საამშენებლო ლურსმნები. ასანთი რუსეთის. ს. მ. ე. ს. საფეიქრო-სპენისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს. ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა. სალებავები.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 8 აგვისტოსათვის.

ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა | წ. 17 მაისის დადგენილების № 52 საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის [illegible], ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ა. წ. 8 აგვისტოსათვის განისაზღვრა 40,657,000 მან. ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრა 4,065,700 მან. ა | კ. ფულის ნიშნებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

ქრონიკა

— **უმუშევრობა.** უმუშევრობამ საქართველოში მიიღო მასსიური ხასიათი. ამ ჟამად მთელს რესპუბლიკაში უმუშევართა რაოდენობა აღწევს 25 ათას კაცს, რომელთაგან 10 ათასი პროფკავშირის წევრია.

— **ლაბორატორიის შეკეთება.** ქალ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით, ამ დღეებში დაიწყება კაპიტალური შეკეთება ქალაქის ცენტრალური ლაბორატორიისა.

— **ახალი სკოლები.** მომავალ სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სხვა და სხვა რაიონებში გაიხსნება 18 დაბალი ტიპის სასწავლებელი.

— **ახალი წიგნი.** საქართ. ახალგაზრდათა კომკავშირმა გამოსცა ქართულ ენაზე „სპარტაკელები“.

— **დახმარება საჰაერო ფლოტს.** აღმასკომმა დაადგინა ერთი კვირის განმავლობაში წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ ტრამვაისა და აბანოების ბილეთებზე გადიდებული იქნეს ფასები.

— **გადასახადის შემცირება.** ქუჩებში გასაკრავ აფიშებზე გადასახადი შემცირებულ იქნა ნახევარ კაპეიკამდე, თეატრების წინ გამოკიდებულ პლაკატებზე გადასახადი სრულებით მოიხსნა.

— **საბავშო წიგნი.** გამოვიდა გიორგი ქუჩიშვილის ახალი საბავშო წიგნი—„ყრმებს“.

— **უმუშევრობის წინააღმდეგ.** უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიას განზრახვა აქვს აღძრას შუამდგომლობა სატყეო კომიტეტის წინაშე, რათა 600 უმუშევარს მისცეს სამუშაო 15 მილიარდის წინდაწინ სესხის აღებით.

— **მუშათა სასახლე.** ახალ-სენაკის პროფკავშირებმა დაადგინა ადგილობრივ ააგონ მუშათა სასახლე, სათანადო ორგანოებისა და კავშირის წევრთა დახმარებით.

— **ლექციები მეურნეობაზე** ქალ. აღმასკომის მიწად-მოქმედებას განყოფილებამ დაადგინა, ტფილისის მაზრაში ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის რჩევისა და დარიგების მისაცემათ მოაწყოს ლექციები სასოფლო-მეურნეობაზე.

— **უმუშევრების სასარგებლოთ.** შიმშილობასთან მებრძოლ კომიტეტმა უმუშევრების დასახმარებლათ ყოველთვიურათ გადასდო 1 მილიარდი და 500 მილიონი.

— **ეგნატე ნინოშვილის სახელობის სკოლა.** ეგნატე ნინოშვილის სახელობის საცდელ-საჩვენებელმა სკოლა-საკრებულომ თავის შეფისგან—მიწად მოქმედების კომისარიატისაგან ბავშვების კვების გასაუმჯობესებლათ მიიღო 50 მილიონი მან. და საქ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან 300 ფუთი თეთრი ფქვილი, 50 ყუთი კონსერვი და 100 ცალი თეთრეული.

— **უმუშევრები.** 7 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 793 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—61, სამუშაოზე გაიგზავნა 105.

ხელოვნება.

— შაბათს 11 აგვისტოს საღ 8 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ.) მე 2-ე რაიკომის დახმარებით იმართება **პროლეტარულ-ლიტერატურული საღამო.**

I. განყ. მოხსენება; **ლუარსამიძე** „პროლეტ. შემოქმედების გარშემო“.

II გან. „რევოლიუციის მოლოდინში“ პიესა **მაშაშვილისა.**

III გან. დივერტისმენტი: „პროლეტარული პოეზიის გამოფენა“.

ბილეთების ფასი ხალხურია.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

კამპანიის მსვლელობა საქართველოში

სამხრეთ-ოსეთი. როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორი ამხ. კარგარეთელი იტყობინება, სამხრეთ-ოსეთი სახნავი ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად განიყოფება: პირველი ხარისხი—2882 დესეტინა, მეორე—7 515 დეს. მესამე—5 855 დ. მეოთხე—3.024 დ., მეხუთე—2 398 და მ ექვსე—1.994 დესეტინა. განთავისუფლებულია სრულიად მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 183 დეს.

თიანეთის მაზრა. როგორც სამაზრო აგრონომი იტყობინება, პანკისის ხეობაში მავნე მწერებისაგან გაფუჭებულია 100-მდე დესეტინა ნათესი სოფ. დუმასტურში. აქ არც ერთი ფუთი ფარცვლეულის მიღება არ შეიძლება. ახმეტის თემში ნათესი ნაკლებად გაფუჭებულია, ზარალი 20 პროც. ერწოს თემში ზემო და ქვემო ნაქალაქარში ყანები დააზიანა ნიაღვარმა.

ახალქალაქის მაზრა. წვიმებმა ნათესები გამოაკეთა. მოსავლის ნამდვილი პირის გამორკვევა ამ ორ სამ კვირაში შეიძლება.

ზუგდიდის მაზრა. თემებში სიების შედგენა დასრულდა. სწარმოებს სიების შესწორება, წვიმები გრძელდება. ნიაღვარი დიდ ზარალს აძლევს ნათესებს. მოსავალი საშუალოზე დაბალია.

ოზურგეთის მაზრა.

საუბარი საქ. საგადასახადო ინსპექტორ ამხ. გროზდოვთან.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვის შემოწმებით, რომელიც გურიაში მოხდა, დასაწყისი დაედო წინასწარ საგადასახადო მუშაობის მსვლელობის შემოწმებას დასავლეთ საქართველოში.

როგორც სამაზრო საგადასახადო კომისიის სხდომების ოქმებიდან სჩანს კომისიას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვისთვის და ამიტომ ყოველი ღონისძიება მიუღია სტაჟიან და განათლებულ თანამშრომელთა მისაწვევად და აღწერის საქმეში ჩასაბმელად. ამას გარდა საგადასახადო კომისია მუდმივად სარგებლობდა პარტიულ ორგანიზაციებისა და სამაზრო აღმასკომის იდეიურ და პრაქტიკულ დახმარებით. აღწერის დაწყებამდე მოწვეულ იქნა სათემო აღმასკომთა და პარტიულ სარაიონო ინსტრუქტორთა ყრილობა. რამდენად ძვირფასი საკონტროლო მასალა ჰქონდა ხელში საგადასახადო კომისიას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ერთის თემიდან მისული სიები მეორე დღესვე შემოწმებულ იქნა და შიგ ადვილად იქმნა აღმოჩენილი არა სწორი ცნობები, რის გამოც კომისიამ სიები დაუყონებლივ უკან დააბრუნა და ამას გარდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ადმინისტრაციის ოთხი პირი, რომელთაგანაც ეს არა სწორი ცნობები იყო დამოწმებული. ასეთმა ზომამ კმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობის ფართო წრეებში, მით უფრო, რომ როგორც მოსახლეობას, ისე სათემო ხელისუფლებას წინათვე ჰქონდა განმარტებული სამაზრო სამეულის მიერ მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის ხასიათი და მნიშვნელობა და ის პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ზიდონ მათ დასაბეგვრ ობიექტების გადამალვისათვის. წელს შედგენილ სიების ცნობათა მიხედვით, სახნავის სივრცე წელს შარშანდელთან [illegible] 40-მდე [illegible] უქონლობის გამო ძნელია საბოლოო დასკვნის გამოყვანა, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ, როგორც საგადასახადო მუშაობის მსვლელობიდან სჩანს, წრევანდელ კამპანიის შედეგი დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს.

მოსავალი მაზრაში საშუალოზე მაღალი უნდა ჩაითვალოს. მთაგორიან ადგილებში მოსავალი უკეთესია, ვიდრე დაბლობ ადგილებში. მოსავალი შეიძლება უფრო გამოკეთდეს, თუ მზიანმა დღეებმა შესცვალა ახლანდელი მოღრუბლული დღეები, რომელიც ხელს უშლის მარცვლის დასრულებას.

რაც შეეხება გადასახადის გასტუმრების ფორმას, 39 თემიდან და ორი ქალაქიდან 27 ხმა ფულად გადახდის მომხრე აღმოჩნდა და 14 ხმა—ნატურით გადახდისა.

შორაპნის მაზრა.

საუბარი საგადასახადო ინსპექტორ ამხ. გროზდოვთან.

შორაპნის სამაზრო საგადასახადო კომისია მაისის 20-ს დაარსდა და მაისის 25-სთვის უკვე მოწვეულ იქნა სათემო აღმასკომთა ყრილობა, რომელზედაც მოსმენილ იქნენ მოხსენებანი: სამაზრო სასურსათო კომისარისა, პარტკომის და სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლებისა და საფინანსო ინსპექტორისა. ამის შემდეგ შედგენილ იქნა გადამწერთა შესაფერი შტატი 19 კაცისაგან, რომელთაც ყველაფერი დაწვრილებით განემარტათ და შემდეგ თემებში იყვნენ დაგზავნილნი საკონტროლო მასალით. ივლისის ბოლოსთვის ყველა სამი სია საბოლოოდ შედგენილი იყო და ჯამებიც გამოყვანილი. სხვათა შორის, საგადასახადო კომისიამ თავისი ინიციატივით მჭამელთა რიცხვიც აღნუსხა მთელს მაზრაში. აღწერის შედეგი ასეთი აღმოჩნდა:

მოსახლეობა	174 861 სული.
კომლი	37 916
სახნავი	43 416 დეს. 1982 ოთხკ. საჟ.
ვენახი	5.832 დეს. 1948 ოთხკ. საჟ.
სათიბი .	15 დეს. 440 ოთხკ. საჟ.
თხილის პლანტ.	3 დ 230 ოთხკ. საჟ.
მსხვილფეხა საქონელი	52.236 სული.
წვრილფეხა საქონელი	23.202 სული.
ღორი	11.403 სული.

აღწერის შედეგების შედარებამ წარსულ წლების ცნობებთან ცხადჰყო, რომ საჭირო აღარ არის ზედმეტი მუშაობა ამ შედეგების შესამოწმებლად, ვინაიდან ეს ცნობები მიწის შესახებ, სავსებით ეთანხმება საკონტროლო მასალებს. ცნობები დამაკმაყოფილებელია საქონლის შესახებაც, გარდა ღორისა, რომელიც წელს ნაკლებ აღნუსხულია. ეს გარემოება საგადასახადო კომისიის განმარტებით აიხსნება იმით, რომ წელს ავადმყოფობამ ღორს მუსრი გაავლო. უნდა ვიფიქროთ, რომ დასაბეგვრ ობიექტების ასეთ წარმატებით აღნუსხვას შედეგად მოჰყვება თვით გადასახადის წარმატებით აკრეფაც.

მაზრაში მოსავალი კარგი უნდა იყოს, განსაკუთრებით ვენახებისა. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: აგვისტოს 15-სთვის სამაზრო სასურსათო კომიტეტები მოვალენი არიან ცენტრს წარუდგინონ ცნობები მოსავლიანობის შესახებ; საჭირო კი იყო ამ ვადის გაგრძელება სექტემბრის პირველისთვის, ვინაიდან დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მაშინ გამოირკვევა უკეთესად ნამდვილი მოსავლის პირი.

ჩვენი სახელმწიფო ხომ არხი—მრავალერიანია. არავითარ ავსტრო-ჰუნგრეთში ამდენი ერი არ ყოფილა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა ამ ერებს წარსულში, მეფის რეჟიმის დროს, სჩაგრავდენ ყოვლად უმზგავსოდ, მაშინ საჭირო იქნება ისეთი კოლოსალური მუშაობის შესრულება, რომ ყველა ძველი ჭრილობები განიკურნოს, რომ ყველა ძველი შეურაცხყოფა დავიწყებული იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საბედისწერო მომენტში ჩვენ ვერ გაუძლებთ გამოცდას ისე, როგორც ვერ გაუძლო მას ავსტრო-ჰუნგრეთმა.

ამას გარდა, ჩვენ გამოვდივართ არა მარტო როგორც ჩვენი ქვეყნის ორგანიზატორები, არამედ გამოვდივართ წითელი დროშით რევოლიუციისათვის მთელ მსოფლიოში. ჩვენსკენ არის მოპყრობილი მთელი დაჩაგრული აღმოსავლეთის თვალები, სადაც ასეული მილიონები საშინელ მონურ ყოფაში არიან და წარმოადგენენ უხმო მონებს საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, იტალიის და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიებში. თქვენ იცით, რომ ჩვენ აღმოსავლეთში ერთგვარი ნდობით და პოპულიარობით ვსარგებლობთ. ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ იმის მოწამე, რომ ინდოეთი ან ჩვენს მეზობლათ მყოფი ოსმალეთი იმპერიალისტებთან ბრძოლის მძიმე წუთებში ჩვენსკენ იხედებოდა, ჩვენს დახმარებას მოელოდა. ახლა, როცა შევედით ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, ჩვენ უფრო მეტად გვადევნებენ თვალყურს, ვიდრე სამოქალაქო ომის და ქარიშხალისა და შეტევის ეპოქაში. როცა ჩვენ ვაფეთქებდით ძველ მემამულეთა და ბურჟუაზიულ რეჟიმს, როცა ჩვენ ბორკილებს ვხსნიდით ყოფილი მეფის იმპერიის ერებს, მაშინ ყველანი ასე ამბობდენ: „დასაწყისი საუცხოვოა, ბოლშევიკები ყველას თავისუფლებას აძლევენ“. მაგრამ ახლა, როცა ჩვენ ვიწყებთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნას, როცა ზოგიერთებს გაუგნულათ ჰგონია, რომ კვლავ იქმნება „ერთიანი და განუყოფელი“, ახლა ჩვენი მტრები ყოველნაირათ ცდილობენ უნდობლობა დასთესონ ჩვენს მიმართ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებში. გუშინ მე წავიკითხე რასულზადეს წიგნი, სადაც ის მთელ თავის ყურადღებას უთმობს ამ მომენტს. ის ამბობს: „რა ხდება? წინათ იყო შავი იმპერიალისტები, ახლა მოდის წითელი იმპერიალიზმი. წინეთ აზერბაიჯანისათვის საშიშროებას წარმოადგენდა დენიკინის საფრთხე, ახლა გამოჩნდა ლენინის საფრთხე“-ო.

და აი, ამხანაგებო, ჩვენს წინაშე დგას მნიშვნელოვანი საკითხი—დავამტკიცოთ, რომ არავითარი „მთლიანი და განუყოფელის“ შექმნა, არავითარი დამონება რუსების მიერ აზერბეიჯანელების, სომხების და ქართველების არ ხდება. თქვენ კარგათ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო აგიტატორი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, როცა აღარ სწარმოებს სამოქალაქო ომი, წვრიმალი, ყოველდღიური მუშაობის პირობებში, არიან წარმატების ფაქტები ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენის დარგში. ევროპიელი მუშები თავის შეხედულებას საბჭოთა ხელისუფლების შესახებ შეიმუშავებენ იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი მეურნეობის აღდგენა. ის, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მტრების განადგურება, რომ ჩვენ შეგვიძლია ძველის დანგრევა, უკვე დავამტკიცეთ. მაგრამ არის მეორე მომენტი, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ არის ბევრ იმათგანისთვის, ვინც გარედან ადევნებს თვალყურს ჩვენს მუშაობას და ბრძოლას. ეს არის: „შესძლებენ თუ არა ბოლშევიკები მეურნეობის აღდგენას“. საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო აგიტატორი საზღვარ გარეთ იქნება თითეული ქარხნის მილი, საიდანაც კვამლი ამოდის, პურის თითეული ძნა, თითეული ნაბიჯი წინ ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეში. ვერც ერთი მჭერმეტყველი აგიტატორი ვერ შესძლებს ისეთი აგიტაციის გაწევას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ, როგორც იმ ამოცანის შესრულება, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე დგას და რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ—ეს არის საზღვარ-გარეთ 250 მილიონი ფუთი პურის გატანა. ჩვენ თუ ამის შესრულება მოვახერხეთ, თუ ახლანდელი მოსავალი იმდენ მონარჩომს მოგვცემს, რომ ჩვენ ევროპის ბაზარზე გავიტანთ 250 მილიონ ფუთ პურს, მაშინ ყველასათვის აშკარა გახდება, რომ რუს ბოლშევიკებს შესძლებიათ არა მარტო დანგრევა მემამულეების მეურნეობისა, არამედ საბჭოთა გლეხური მეურნეობის შექმნაც. ეს იქნება მჭერმეტყველური დამტკიცება ჩვენი წარმატების სამეურნეო ფრონტზე. რამდენიც არ უნდა ელაპარაკონ მაშინ მუშებს, რომ იქ ყველაფერი დანგრეულია, რომ იქ სიმშილი და სიკვდილი მეფობს, მუშები არ დაიჯერებენ; ასევე იტქმის მრეწველობაზეც.

ახლა დადგა მომენტი, როცა ჩვენ აგიტაცია უნდა ვაწარმოოთ არა სიტყვებით და ქაღალდით, არამედ საქმით ასეთ საქმეს კი აღმოსავლეთში, ვგონებ, პირველ რიგში წარმოადგენს ნაციონალური საკითხის გადაჭრა და ჩვენი საბჭოთა კავშირის ერებს შორის თანამშრომლობის დამყარება. ჩვენი წარმატება აღმოსავლეთში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ ჩვენი ერების ცხოვრებას.

დასამალავი არ არის, ამხანაგებო, რომ მუსავატისტები სპარსეთსა და ოსმალეთში სასტიკ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აზერბაიჯანში არაფერი აზერბაიჯანული არ დარჩენილა. ისინი უბრალოდ სწყვეტენ საკითხს: „აზერბაიჯანის მთელ ბედ-იღბალს ატრიალებენ კრილოვი და კიროვი, ც. კ. მდივანი კიროვი და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე კრილოვი, სხვა არავინ არის“, ისინი ცდილობენ მთელ ქვეყანას გააგებინონ, რომ აზერბაიჯანში ახლა რუსები ბატონობენ.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პასუხი? ის ასეთი უნდა იყოს: კიროვი, დიახ, ის ჩვენი ხელმძღვანელი, ჩვენი ძვირფასი ამხანაგია, ის იყო და დარჩება იგივე. კრილოვიც ასეთივეა. მაგრამ ვისთვის იმუშავებენ კრილოვი და კიროვი? — აზერბაიჯანის გლეხის კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის. აი ეს ვერ გაუგიათ მათ და ეს დამტკიცებული უნდა იქნეს არა იმიტომ, რომ რასულ-ზადე ლაპარაკობს, არამედ იმიტომ, რომ ეს შეადგენს ჩვენს მთავარ ამოცანას.

ამხ. ახუნდოვი ლაპარაკობდა, რომ აზერბაიჯანი ავანპოსტია აღმოსავლეთში. ეს მართალია. იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ საბჭოთა აზერბაიჯანს დამოკიდებულია საბჭოთა იდეების პოპულიარიზაცია აღმოსავლეთში. თითეული ოსმალო, სპარსელი, თითეული ინდუსი, თითეული ის ვისაც კი გაუგონია აზერბაიჯანის და საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, იტყვის: „ბოლშევიკები კარგია, მოდი ერთი ვნახოთ რა გააკეთეს მათ აზერბაიჯანში, შესძლეს თუ არა მათ აზერბაიჯანის კულტურის აღორძინება, შესძლეს თუ არა მათ აზერბაიჯანის გლეხებისა და მუშების მასებიდან აზერბაიჯანის სახელმწიფოს ხელმძღვანელების გამოყვანა თუ არა, იტყვიან ისინი,—ჩვენთვის სულერთია ვინ დაგვჩაგრავს, ინგლისელები თუ რუსები. ამ მხრივ რუს ამხანაგების წინაშე სდგას კოლოსალური ამოცანა: ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ამ მიმართულებით აზერბაიჯანელ ამხანაგებს.

ჩვენ ვერაოდეს ვერ შევძლებთ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გადაქცევას აზერბაიჯანის მუშებისა და გლეხების ძალა-უფლებათ თუ ამ ხელისუფლებას არ დაუახლოვებთ მათ თუ თვით გლეხი არ იქნება ამ ხელისუფლების მონაწილე და შემომქმედი. როგორ შეიძლება ამის გაკეთება? რასაკვირველია, არა გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე, არამედ მხოლოდ აზერბაიჯანულ, თურქულ ენაზე და ეს ენა ულაპარაკოთ უნდა იქნეს შემოღებული ყველა დაწესებულებებში. აქედან უნდა დავიწყოთ ახლავე. თერმინოლოგია გამომუშავდება თვით მუშაობის პროცესში. შეხვდები რაიმე გაუგებარს და მაშინ გამოვიმუშავებთ, პირველად აირევა საქმე, უამისოთ არ შეიძლება, შემდეგ კი ყველაფერი რიგზე წავა.

განსაკუთრებით მაზრებში ეს პირველმნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს. იქ არავითარი თერმინოლოგია საჭირო არ არის. აქ შევქმნით მეცნიერთა კომისიას და იგი გამოიმუშავებს თერმინოლოგიას და სხვა. საჭიროა, რომ დაწესებულებებში იყვნენ მუსულმანები და თუ მაზრიდან მუსულმანები რაიმეს მოიწერენ თურქულ ენაზე, მათთან ლაპარაკი შეიძლება უთერმინოლოგიოთ, უბრალო ენაზე. თუ ეს ჩვენში, აზერბაიჯანში, ამდენ ხანს არ გაკეთებულა, ეს უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, ულაპარაკოთ. ბაქოს მაზრა შეუერთეს ბაქოს აღმასკომს და თუ ბაქოს აღმასკომს მიმართავს გლეხი მაზრიდან, მან პასუხი უნდა მიიღოს თურქულ ენაზე. თუ ეს დღეს გაკეთებული არ არის, უნდა გავაკეთოთ ხვალ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს. ამით ჩვენ ძირშივე აღმოვფხვრით სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტების ხულიგნურ აგიტაციას.

ნაციონალიზმის დამარცხება, მისი დასამარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სწორეთ გავატარებთ ჩვენ ნაციონალურ პოლიტიკას. არის ნაციონალური საკითხის გადაჭრის მარტივი საშუალება—მენშევიკ-დაშნაკო-მუსავატისტური. ეს არის-განდევნე აზერბაიჯანიდან და საქართველოდან სომხები, სომხეთიდან კი მუსლიმანები. ჩვენ ვიცით, თუ როგორ სჭრიდენ ისინი ამ საკითხს წარსულში. რომ არ მომხდარიყო შეტაკება მთიან და დაბალ ყარაბახს შორის, მთიან ყარაბაღში ამოჟლიტეს ყველა მუსლიმანები, დაბლობ ყარაბაღში კი ყველა სომხები. ასევე მოხდა ზანგეზურში. აი, ნაციონალისტების მიერ ნაციონალური საკითხის გადაჭრის ნიმუშები.

რა გააკეთა ამ მხრივ ჩვენმა პარტიამ ამიერ-კავკასიაში და რის გაკეთებას აპირებს ის ახლა. ჩვენი პარტიის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში საერთოდ მთლიანად სწორია, ის სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებს ველიკოროსულ და ადგილობრივ. შოვინიზმთან, ქმნის ნამდვილ ინტერნაციონალურ ფოლადის სიმტკიცის კომუნისტურ პარტიას. რის გაკეთებას აპირებს პარტია ახლა? უკანასკნელ პლენუმზე ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა და შემდეგ თავის მეორე სესიაზე ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს საკითხები წამოაყენეს სახელმწიფო მასშტაბით.

პირველ რიგში—სოფლის მეურნეობა, სახეში ქონდათ ის, რომ ამიერ-კავკასია უმთავრესად გლეხური ქვეყანა არის. ამ გლეხურ ქვეყანაში ყოველ მხრივ უნდა დავეხმაროთ გლეხს აღადგინოს სოფლის მეურნეობა, მივცეთ მას იაფი კრედიტი, შევეცადოთ მივაწოდოთ მას ის პროდუქტები, რომლის მიცემა ჩვენ შეგვიძლია და რომელთა მიწოდება ჩვენ არ ვიცით. აი მაგალითად, ყაზახში გლეხს არ შეუძლია ნავთის მიღება. აზერბეიჯანი ნავთის სამეფოა, გლეხს კი ნავთი არა აქვს. საქართველოში საქმე უარესად არის, იქ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ თავის ხელში აიღო ნავთის გაყიდვის მონოპოლია დ თუ გლეხი რკინისგზელისგან ყიდულობს ნავთს და აძლევს მას ქათამს ან კვერცხს, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მიდის და ართმევს ამ ნავთს. რასაკვირველია, ეს გლეხი წყევლის საბჭოთა ხელისუფლებას და ისე ბრუნდება სახლში. ბევრი ასეთი სისულელე ხდება. ჩვენს გლეხს არა აქვს მარილი, მარილი კი ამიერ-კავკასიაში საკმაოდ მოიძებნება. ახლა მანუფაქტურის შესახებ. რასაკვირველია, ის ძვირია, მაგრამ რომ ჩვენ ვიცოდეთ მანუფაქტურის მიწოდება გლეხებისათვის კოოპერატივის საშუალებით, ის არ იქნებოდა ასე ძვირი. ეს საკითხი უნდა გადავჭრათ, თორემ ჩვენ ვერ შევსძლებთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და გამაგრებას. უნდა ჩავაბათ გლეხობის მასები საბჭოთა აღმშენებლობაში.

მეორე ჩვენს ამოცანას შეადგენს სახელმწიფო ენის შემოღება დაწესებულებებში. იღებს რა მხედველობაში იმას, რომ აზერბაიჯანი ობიექტიური მიზეზების გამო ცოტათი ჩამორჩა, ჩვენი პარტია პირველ რიგში აყენებს აზერბაიჯანს და მუშაობას აზერბაიჯანის კულტურულად აღსადგენად თავის დამკვრელ ამოცანად თვლის.

რაც შეეხება რკინის გზას, სპეციალურად აზერბაიჯანისათვის მიღებულია გარკვეული დადგენილებები. დადგენილია სკოლის გახსნა მუსლიმან ამხანაგებისათვის, სადაც ისინი შეისწავლიან რკინისგზის საქმეს. თუ საქართველოში ჩვენ გვყავს 66 პროც. მეტი ქართველი რკინის გზელი, თუ სომხეთში სომეხი რკინისგზელები შეადგენენ 86—90 პროც.-ს, აზერბაიჯანში მუსლიმან რკინისგზელთა რიცხვი 30 პრო.-ს არ აღემატება ეს რიცხვი, რაც არ უნდა დაგვიჯდეს 50, 60—70 პროც.-დი უნდა ავიყვანოთ.

რისთვის კეთდება ეს? განცალკევებული, კარჩაკეტილი აზერბაიჯანის შესაქმნელად თუ მშრომელ მასებს შორის როგორც ამიერ-კავკასიაში ისე მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში, პროლეტარული ერთობის და ნამდვილი სოლიდარობის დასამყარებლად? საბჭოთა რესპუბლიკების ერების გასათიშავად და მათ გასაერთიანებლად?

ჩვენი მტრები სცდილობენ ჩვენი დადგენილებების გამოყენებას ამიერ-კავკასიის მშრომელთა გასათიშავად.

გუშინ მე მიჩვენეს ასეთი დეპეშა: „ვინაიდან ტელეგრაფზე გაქვთ დეპეშები ქართულ ენაზე, გთხოვთ მიბრძანოთ მე არ მივიღო დეპეშები ქართულ ენაზე, ან გთხოვთ გაიწვიოთ ის (აღნიშნულია რუსული გვარი) ქართული ენის არ ცოდნის გამო“. მეთორმეტე ყრილობაზე თქვენ, კომუნისტებმა გადასჭერით ეს საკითხი, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა დაადასტურა ეს, ამიერ-კავკასიის ცაკმა დიკლარაცია გამოსცა ამის შესახებ, მაშ კეთილ ინებეთ და მომაშორეთ რუსი ტელეგრაფისტი, რადგან მან არ იცის ქართული ენა. რაშია საქმე?

საკითხი უბრალოდ იჭრება. ამ ვაჟბატონს სურს სწორი დადგენილებებიდან არა სწორი დასკვნა გამოიყვანოს. ამ სადგურზე არის რამდენიმე ტელეგრაფისტები, რომლებმაც იციან ქართული ენა—ქართველები. და ამ ერთმა რუსმა არ იცის ქართული ენა. ამ საკითხის მოგვარება ხომ ადვილია. ქართველ ტელეგრაფისტებს უნდა დაევალოს ქართული დეპეშების მიღება, რუსს კი—რუსულ ენაზე. საკითხი წმინდა ტეხნიკურია, მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? ჩვენ, ჩვენი ხელით, ჩვენი კანტროლის ქვეშ. და ყველა იმათ, რომლებიც ცდილობენ ჩვენი დადგენილების ასე გამოყენებას და ხვალ შემოიტანებენ წინადადებას ყველა რუსები განიდევნოს აქედან, ჩვენ უნდა უთხრათ: „უკაცრავად, ჩვენ იმიტომ კი არ ვატარებდით ნაციონალური სოლიდარობის პოლიტიკას, რომ თქვენ აქ ამისაგან შეგვექმნათ ნაციონალური კოშმარი. არავითარი მაგის მზგავსი, რუსი ამხანაგები რჩებიან აქ და იმუშავებენ ჩვენთან ერთად“.

აქ საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ აზერბაიჯანის მშრომელი მასები, რომლებმაც მხოლოდ თურქული ენა იციან, სწავლა-განათლებას იღებდენ სამშობლო ენაზე. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ჩავაბათ მშენებლობის საქმეში. რუსი ამხანაგები კი აქ დაეხმარებიან. ჩვენ რუს მუშას დიდი გამოცდილება აქვს, და უნდა ვაღიაროთ, რომ ამაში ჩვენზე უფრო კულტურული არიან.

კამათი სწარმოებდა იმაზე, ჩვენი რუსი მუშა, ჩვენი რუსი მასწავლებელი უნდა იყოს მასწავლებელი თუ თანაშემწე ადგილობრივ. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენ უკვე გამოვედით იმ ჰასაკიდან, როცა ჩვენ თავზე ხელის მოსმა გვჭირდებოდა, ჩვენ არ გვჭირია, რომ რუსი ამხანაგები იყვენ თანაშემწეები ან ძიძები, საჭიროა, რომ ისინი იყვენ ამხანაგები, როგორიც იყვენ დღემდი.

და თუ ჩვენ ყოველგვარი გადახრის გარეშე, როგორც ერთი ან მეორე მხრიდან, პარტიის მეთორმეტე ყრილობის და უკანასკნელი ივნისის თათბირის დადგენილებებს გავატარებთ, ჩვენ მოკლე ხანში მტრებს ყოველგვარ ნიადაგს გამოვაცლით.

გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენა, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ბელადი—ბაქოს პროლეტარიატი, ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაცია, გაატარებენ რა ცხოვრებაში მთელის სიმტკიცით პარტიის მეთორმეტე ყრილობის და ივნისის თათბირის დადგენილებებს, გახდებიან ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრის მედროშეთ. (ტაში).

მუშათა ცხოვრება

მელითონეებში

1923 წ. 4 აგვისტოს ლითონის განყოფილების მესამე ავტო-სახელოსნოსთან არსებულ მელითონეთა კლუბში, გაიმართა ამავე განყოფილების ქარხანა-სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახისათვის საღამო-წარმოდგენა.

მას შემდეგ, რაც ლითონის განყოფილების მუშებსა და სოფელ დიდლილოს გლეხთა შორის შეიკრა მჭიდრო კავშირი, მელითონეთა კავშირის კულტ-განყოფილებას და ამავე განყოფილების კომ-უჯრედს დაებადა აზრათ სოფლად კულტურულ მუშაობის გაძლიერება, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, კულტ-უჯრედების ორგანიზაცია და სხვა.

ამ მიზნით 4 აგვისტოს მოეწყო საღამო წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდო სოფელ დიდლილოს კულტურულ ფონდის გასაძლიერებლად.

ამ საღამოსთვის საგანგებოდ მოწვეულ იყო საქართველოს პროლეტ-კულტის დრამატიული წრე, რომელთაც მიიღეს რა მხედველობაში საღამოს სიმპატიური და იდეური მიზანი,—უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა, რისთვისაც წინდაწინვე გულწრფელ მადლობას უხდით მუშების სახელით საქართველოს პროლეტ-კულტის დრამატიულ წრეს და მის ხელმძღვანელ საბჭოთა თეატრის რეჟისორ ნ. შესტოვს.

საღამოს დაესწრო 300 კაცი, უმთავრესად მუშები თავიანთი ოჯახობით. მეორე საბჭოთა ქარხნიდან ცოტანი დაესწრნენ, რაც მიეწერება ქარხკომის კულტ-მუშაობის სისუსტეს.

ამ საღამოს წარმოდგენილი იყო ისპანიურ დრამატურგის ლოპე-დე-ვეგას პიესა „ცხვრის წყარო“ (ფეუნტე ოვეხუნა).

წარმოდგენის დაწყებამდე სცენაზე გამოვიდა რეჟისორი ნ. შესტოვი, რომელმაც გააკეთა მოკლე მოხსენება პროლეტ-კულტის მიზნებზე და მის ამოცანებზე და ისპანიურ დრამატურგ ლოპე-დე-ვეგას შემოქმედებაზე და მის ნაწარმოებ „ცხვრის წყარო“-ზედ. მომხსენებელმა, მკაფიოდ, ლამაზად, და სადა ენით, გააცნო მუშათა აუდიტორიას პროლეტ-კულტის დანიშნულება, მისი მუშაობის გეგმა და მიმართულება.

მეორე მხრით რეჟისორ შესტოვმა გააცნო ლოპე-დე-ვეგას ეპოქა, გლეხების მდგომარეობა და მათი ტანჯვა მემამულეების ხელში. ერთი სიტყვით მომხსენებელმა ყოველმხრივ გააშუქა საკითხი.

შემდეგ პროლეტ-კულტის დრამატიულმა ძალებმა წარმოადგინეს პიესა „ცხვრის წყარო“, რომელიც კარგათ ჩატარდა. ყველამ პირნათლად შეასრულა დაკისრებული როლი.

საღამო გათავდა ღამის 11 საათზე. მუშები კმაყოფილი დაიშალნენ.

მუშური მადლობა პროლეტ-კულტს და ამხ. ნ. შესტოვს.

მუშკორი ი. ელიაშვილი.

რკ. გზის მთავარ საწყობის და მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა კრება

ამა წლის 2 აგვისტოს მთავარ სახელოსნოში შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრება გახსნა ამხ. რუხაძემ. დღიურ საკითხად იდგა: ამხ. ლ. ქვათარაძის მოხსენება ქალაქის აღმასკომის მუშაობის შესახებ.

ამხ. ლ. ქვათარაძემ დაწვრილებით, ციფრების საშუალებით, გააშუქა აღმასკომის ინტენსიური მუშაობა, რისი დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ქალაქის მეურნეობის ყველა დარგს ემჩნევა თვალსაჩინო წარმატება. ძველ, მეფის დროინდელ და მენშევიკურ მკვდარ ქალაქის მმართველობებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს ჩვენს ცოცხალს და საქმიან აღმასკომს. მან მრავალი საყურადღებო საქმეები გააკეთა სამეურნეო და კულტურულ დარგში. ამხ. ქვათარაძემ მოიყვანა ერთი ფრიად საინტერესო მაგალითი, რომელიც დამახასიათებელია მენშევიკურ მმართველობის ბიუროკრატიზმისა.

ვინმე ტრამვაელ მუშამ, სალაყაიამ გამოიჩინა საკმაო ნიჭი მატორიან ვაგონების ადგილობრივ დამზადებაში. მაგრამ მენშევიკურ მმართველობამ არ მიაქცია ყურადღება მუშის ნიჭს და ძირშივე ჩაახშო იგი. მას არ მისცეს ნება მისი გეგმის, გამოგონების განსახორციელებლად. აღმასკომმა კი მიაქცია ამას სერიოზული ყურადღება და მუშა-გამომგონს მიეცა საშუალება მოიყვანოს სისრულეში თავისი გამოგონება. იმედია, რომ ახლო მომავალში აღარ დაგვჭირდება მატორიანი ვაგონების ბელგიიდან გამოწერა, რადგანაც შესაძლებელი იქნება მისი დამზადება ადგილობრივ, რაც ძალიან იაფად დაგვიჯდება და სამუშაოსაც გაუჩენს ჩვენს მუშებს.

დასასრულ კრებამ მოიწონა აღმასკომის მუშაობა და მიიღო შესაფერისი რეზოლიუცია.

მუშა ივანე ბალიაშვილი.

ახალი პროვოკატორი ტფილისის სახალხო სადგურზე

(რკინის გზის საგანგებო კომისიის და პროფკავშირის საყურადღებოდ)

30 ივლისს, ერევნის მატარებლით ჩამოსული მემანქანე პერშინი წარუდგა სადგურის მოძრაობის მორიგეს და ბრძანების კილოთი შეჰყვირა—ხელი მოეწერა მივლინების ფურცელზე. უკანასკნელმა ქართულ შტემპლის დასმით ქართულადვე მოაწერა ხელი და გადასცა მემანქანე პერშინს. როდესაც ამ უკანასკნელმა დაინახა ქართული წარწერა, დაიწყო ყვირილი: „განა, თქვენ არ იცით, რომ ეხლა ქართული რესპუბლიკა აღარ არსებობს და არც უფლება გაქვთ ქართულად ხელისმოწერის.. თქვენ ჟორდანისტები ხართო“ და სხვა. აქ ის ისეთი სიტყვებით ილანძღებოდა, რომ ადამიანს ყურებში თითი უნდა დაეცო. მის ყვირილზე მოვიდა სადგურის უფროსის უფროსი თანაშემწე მიქაძე, რომელმაც ქართულად დაწერილი რუსულად გადაუწერა და ძლივს მოიშორა ეს ახალი პროვოკატორი. ამ პროვოკატორ პერშინის მოქმედებას დაამოწმებენ: იმავე სახალხო მატარებლის უფრ. კონდ. მეიფარიანი, ტელეგრაფის ზედამხედველი ბოხუა, მოძრაობის ადგილკომის თანამშრომელი ლომანაშვილი, დ საგირიშვილი და სხვ. საჭიროა, მთავარ სახელოსნოს ადგილკომის, რომელსაც ეკუთვნიან მატარებლების მემანქანენი, ყურადღების მიქცევა ასეთ პროვოკატორების მიმართ, რომ ეროვნულ შუღლს ჩვენში, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში, არასოდეს ადგილი არ ექნეს. საჭიროა ამგვარ მოვლენებს მიექცეს რკ. გზ. საგანკომის ყურადღება.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

ტფილისის რკ. გზის საავადმყოფოში

ადგილობრივი კულტ-სექციის თაოსნობით ა/წ. 29 ივლისს წარმოდგენილ იქნა ჯერ პირველად ადგილობრივ სცენაზე 2 მოქმ. პიესა მაშაშვილისა—„რევოლიუციის მოლოდინში“ და ჩეხოვის ცნობილი კომედია „დათვი“—რუსულ ენაზედ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხი აუარებელი დაესწრო. თითქმის გასავლელი ადგილი არ იყო იმ ხელა ბაღში. სცენა გამართული იყო გარეთ ხეების ქვეშ, და ცოცხალი ხეები ამშვენებდა მის ღარიბ დეკორაციას.

წარმოდგენის დაწყებამდე ამხ. დ. გვილავამ მოკლედ აუხსნა დამსწრე საზოგადოებას პიესის შინაარსი, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო ის მუშებისათვის.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, პიესა კარგად ჩატარდა. კარგი იყვნენ: ნინოს როლში—მიქელაძის ასული. შალვა მუშაშვილის—ამხ დარახველიძე; ივანე ღარიბაშვილის—ამხ. აფხაზავა და სხვ.

აგრეთვე ჩეხოვის კომედია „დათვი“ საუცხოვოდ ჩატარდა. ლუკას როლში იყო ამხ. ლემერი. სხვა როლები კიდევ ადგილობრივ სცენის მოყვარე მუშებზე იყო განაწილებული, რომლებმაც საუცხოვოდ ჩაატარეს თავიანთი როლები. აღსანიშნავი და დიდი მადლობის ღირსი არიან ამხ. დარახველიძე, გვილავა და კიკნაძე—რომელთაც საღამოს მოწყობაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ.

სასურველია-შემდეგშიაც, ხშირად იდგმებოდეს ასეთი პიესები, რათა მივსცეთ ჩვენს მუშა მოსამსახურეებს სულიერი საზრდო, რაზედაც თვით ისინიც ძლიერ დაინტერესებული არიან.

ი—კუ—იანი.

მუშათა ქრონიკა.

— **„კომუნისტის“ მუშკორების ექსკურსია.** კვირას, 12 ივლისს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელ მუშა კორესპონდენტებისგან შემდგარი ექსკურსია დაათვალიერებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. მუზეუმის გამგე ისტორიკოსი ს. გორგაძე მისცემს ახსნა განმარტებას სიძველეთა დათვალიერების დროს.

გარდა მუშა-კორესპონდენტებისა ექსკურსიაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ სხვა მუშებმაც.

ავჭალის ჰიდროელექტროსის სადგური

(გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორების ექსკურსიის გამო).

კვირას, 5 აგვისტოს ჩვენი გაზეთის თანამშრომელთა და მუშკორთაგან შემდგარი ექსკურსია გაემგზავრა ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტროსათვის დაწყებულ მუშაობის დასათვალიერებლად ექსკურსია შესდგებოდა 40 კაცისაგან, სადგურის დათვალიერებას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ამხ. ჩიქოვანი.

ექსკურსანტები გაემგზავრნენ დილის 7 საათზე და ცხრის ნახევარზე უკვე იყვნენ სადგურ მცხეთაში. ვიდრე პირდაპირ თავის დასახულ მიზანს შეასრულებდნენ, ექსკურსანტებმა ისარგებლეს შემთხვევით და დაათვალიერეს მცხეთის დიდებული ტაძარი.

მცხეთიდან ექსკურსანტები გაეშურენ სადგურის არხის სათავის დასათვალიერებლად. გაიარეს მდინარე არაგვზე გაკეთებულ ხიდზე, რომელნიც საგანგებოდ ზემო-ავჭალისთვის იქნა აგებული. ხიდი ხის არის, ვიწროა და დაახლოვებით სიგრძით ასი საჟენი იქნება. ხიდიდან ერთი ვერსის დაშორებით იწყება ჰიდრო-სადგურის არხის სათავე.

აქ დათვალიერებული იქნა ის ადგილი, სადაც უნდა მოეწყოს მდ. მტკვრის საგუბარი. საგუბრად არჩეულია მდინარის კლდოვანი კალაპოტი, რომლის გვერდების სიმტკიცე მუშაობას აადვილებს და ხარჯებსაც ამოკლებს. მდინარის შეგუბება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა დამთავრდება არხი. საგუბთან 4 5 საჟენის დაშორებით ამ ჟამად სწარმოებს ე. წ. დამხმარე არხის თხრა. დამხმარე არხი საჭიროა საგუბრის ასაგებად მისი საშვალებით მდინარე დროებით აცდება საგუბარის კალაპოტს, სადაც ამ დროს აიგება ცემენტის ზღუდეები. დამხმარე არხში წყლის გადაშვება და ზღუდეების შენება მოუხერხებელია მანამდე, ვიდრე წყალის საგუბარი იარაღები დამზადებული და ადგილზე გატანილი არ იქნება. დამხმარე არხს არ აქვს მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა. იგი მუდამ საჭირო იქნება მდინარის გადიდების დროს და წყლის მოზღვავებისას წყლის გადასაშვებად, რომ მოდიდებულმა მდინარემ ზიანი არ მოუტანოს ზღუდეებს და მთავარ არხს. დამხმარე არხს გაუკეთდება დასაკეტი კარები, რომელიც დაიხურება და გაიღება საჭიროების მიხედვით.

არხი.

არხი უკვე გაყვანილია 2 ნახ. ვერსის სიგრძეზე. ამ ჟამად არხის თხრა გრძელდება პაწია ხევს გაღმა. გათხრილი არხის კალაპოტი ჯერ დამთავრებული არ არის. კალაპოტის სიღრმე დაყვანილია მხოლოდ კლდოვან ფენებამდე, კალაპოტის გასაღრმავებლად საჭიროა ამ კლდოვანი ფენის ამოღებაც, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ აფეთქებით. შემდეგ არხის კალაპოტისათვის სიმტკიცის მისაცემად დაიწყება მისი ცემენტით ამოშენება.

არხის სათავიდან 1 ნახ. ვერსის დაშორებით არხს წინ ეღობება ვიწრო და ღრმა ფსკერიანი პაწია ხევი რომელზედაც გადებული იქნება ცემენტის მტკიცე ხიდი—დიდი საარხე ღარებითურთ. ამ ჟამად სწარმოებს ხევის ცემენტით ამოშენება. ხევს გაღმა გრძელდება არხის კალაპოტის თხრა.

სახელოსნოები და იარაღები.

გზა და გზა არხის გაყოლებით ექსკურსანტები ათვალიერებდნენ სხვა და სხვა იარაღებს და მუშათა საჭიროებისთვის აგებულ შენობებს. უკვე დასრულებულა წყლის საქაჩავები და წყალსადენი. მთელი დღის განმავლობაში მუშაობს მექანიკურ სახელოსნო, სამჭედლო და დროებითი ელექტრო სადგური, რომლის მომამრავებელი 25 ცხენის ძალას იძლევა. შემდეგი მუშაობის საწარმოებლად ეს, რასაკვირველია, საკმაო არ არის. ამ მოკლე ხანში დადგმული იქნება ახალი მანქანები, რომელთა საერთო ენერგია 300 ცხენის ძალას მოგვცემს.

ამხანაგებმა დაწვრილებით დაათვალიერეს სტანციონალური დ მოძრავი კომპრესსორები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კლდოვანი ფენების ამოთხრის დროს. ექსკურსანტებს უნახავი არ დაუტოვებიათ სხვა და სხვა მასალის მოსაზიდათ აგებული ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის და რომლისათვისაც უკვე მოტანილია ორთქლმავალის ქვაბები. პაწია ხევს გაღმა სდგას უზარმაზარი ექსკავატორი, რომელიც შეკეთებას საჭიროებს და ჯერ-ჯერობით არ მუშაობს. იგი დანიშნულია მიწის სათხრელად და შეუძლია გასწიოს რამოდენიმე ათეული მუშის მაგიერობა. არხის გაყოლებით კეთდება შოსე გზა, რომელსაც პარალელურად მიჰყვება წყალსადენი მუშათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

მუშაობიდან მიღებული შთაბეჭდილება.

უნდა ითქვას, რომ წარმოებულმა მუშაობამ ექსკურსანტებზე მეტად დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა. მნახველი რწმუნდება, რომ ამ დიდი საქმის ხელმძღვანელებს და მუშებს თავის ცოდნა და უნარი არ დაუზოგავთ, რომ მუშაობა წარმატებით და კეთილსინდისიერათ ეწარმოებია და მათ გარჯას და საქმის სიყვარულს შესაფერი ნაყოფიც გამოუღია.

გაწეული მუშაობა სრული თავდებია მისა, რომ ეს დიადი საქმე მტკიცე ნიადაგზე დგას და თუ ქონებრივი სახსარი ექნა, ეს გულმოდგინე მუშაობა ორი წლის ნახევრის შემდეგ ბრწყინვალედ დაგვირგვინდება.

მუშათა ბარაკები და მუშაობის პირობები.

წარმოებულ ტეხნიკურ მუშაობის შემდეგ ექსკურსანტები ჯგუფ ჯგუფად შეუდგენ მუშათა საჭიროებისათვის აგებულ დროებით შენობების დათვალიერებას ყოველმა ჯგუფმა ინახულა მუშათა ბარაკები, გაეცნო მუშაობის სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებს. ადმინისტრაცია, როგორც სჩანს ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ შექმნას მუშაობისთვის ნორმალური პირობები. ამ მიზნით აქ უკვე აგებულია 7 საბინაო ბარაკი, 1 სადგომი ტეხნიკური პერსონალისთვის. გახსნილია მუშათა მთლიანი კოოპერატივი, რომელიც მუშებს შეღავათიან ფასებში აწვდის აუცილებელ საჭიროების საგნებს. მოწყობილია აგრეთვე სამზარეულო, სადაც ყოველდღიურად კვირა-უქმეების გამოუკლებლივ მუშებისათვის ძალიან იაფ ფასებში ნოყიერი სადილი მზადდება. მუშაობს აქ დაახლოვებით 900-მდე მუშა. ამათ შორის 200-მდე პატიმარი. სამუშაო დრო განსაზღვრული არ არის. რადგან მუშების უმრავლესობა ნარდათ მუშაობს. ამას მოითხოვს საქმის საჭიროება, რადგან ამ რიცხვზე მეტი მუშა ხელის ამოძრავება ტეხნიკურად მოუხერხებელია, ხოლო საქმის ვითარება კი სამუშაოს დაჩქარებით დასრულებას მოითხოვს.

კულტ-მუშაობა.

მატერიალურ პირობების მოგვარების გარდა, უზრუნვიათ აგრეთვე მუშათა კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით აქ უკვე გაუხსნიათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ტფილისის ყველა პერიოდული გამოცემები იწოვება. ამის გარდა აგებულია თეატრისათვის ხის შენობა, რომელიც ჯერ სავსებით მოწყობილი და დასრულებული არ არის. თეატრში განზრახულია გაიმართოს სისტემატიურად წარმოდგენები, თუ მოსახერხებელი იქნა ადგილობრივი ძალების საშვალებით, ან ტფილისიდან მოწვეულ მუშათა დრამატიული დასების მიერ. აქვე წაიკითხება ლექციები ჰიგიენა-სანიტარიიდან, ბუნების-მეტყველებიდან და აგრეთვე საზოგადოებრივი მეცნიერებიდან ამ დაწესებულებათა საშვალებით აქ უნდა გაჩაღდეს და გაცხოველდეს მუშათა გასათვითცნობიერებლად დიდი კულტურული მუშაობა. აქ მოპოვებული ცოდნა დამსახურებული ჯილდო უნდა იქნეს მუშისათვის, რომლის მარჯვენაც მთელი რესპუბლიკისათვის ჰქმნის ფასდაუდებელ საშვილიშვილო საქმეს!..

აგარაკ ახტალაზე

გაზეთ „მუშ-“ის 210 ნომერში მოთავსებულია პატარა შენიშვნა—„მიხედეთ ახტალას“. იქ არის აღნიშნული, რომ ახტალის კურორტის გამგე ვინმე კაის დისს ყოველნაირი ოთხფეხი და ორფეხი ცხოველი გაუშენებია აგარაკში და მხიარულათ დროს გატარებას მისდევსო, ვითომც ეს გამგე კიდევაც დაეთხოვოსთ, მაგრამ რაღაც სასწაულით ისევ დაუბრუნდა თავის თანამდებობასო. ამ შენიშვნის დამატებით ჩვენ ვიტყვით, რომ საქონლის მოშენება იმდენი გასაკიცხი არ არის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ კაისიდისს ახტალის ეზომიდამო თავის ბატების და ღორების სათარეშოთ გაუხდია და ამის გამო უსუფთაობითაა სავსე კურორტი. კაისიდისი დროს მხიარულათ კი არ ატარებს—როგორც ასე მოწიწებით ამბობს შენიშვნის ავტორი—არამედ წმინდა წყლის ლოთობას ეწევა და იმავე დროს ჩადის უზნეობას, რაც დასაშვები არ არის კურორტზე. რაც შეეხება მის დათხოვას ჩვენ ვიცით. რომ ჯანმრთელობის კომისარს ამხ. კუტაიძეს წინადადება მიუცია საკურორტო სამმართველოსთვის მისი დათხოვის შესახებ, მაგრამ ეს განყოფილება დღემდის მფარველობას უწევს კაისიდისს.

ჩვენ განმეორებით მოვაგონებთ სათანადო უწყებას, რომ კაისიდისი უვარგისია თავის თანამდებობისთვის, რომ ის ბოროტათ იყენებს თავის თანამდებობას კურორტის საზიანოთ.

ვეკითხებით საკურორტო სამმართველოს აპირებს თუ არა ის განთავისუფლოს ახტალა კაისიდისის ბინძური ხელმძღვანელობისაგან, და თუ არა, რა მიზეზით?

ვიტყვით გაზეთ „მუშ“-ის შენიშვნის ავტორთან ერთად—„მიხედეთ ახტალას, მოაცილეთ მას კაისიდისი“.

ნიკოშვილი.

პროვინციაში

ხაშურის უპარტიო გლეხთა მეორე კონფერენცია.

ერთი საშუალებათაგანი მუშათა და გლეხთა ძმური კავშირის განმტკიცებისა არის გლეხთა კონფერენცია, რომლის საშუალებითაც გლეხები და მუშები ეცნობიან ერთმანეთის ცხოვრებას.

ქ. ხაშურში მოწვეულ იქმნა 22 ივლისს უპარტიო გლეხთა მეორე კონფერენცია რომელსაც დაესწრო 125 წარმომადგენელი. კონფერენცია გაიხსნა ინტერნაციონალით. საპატიო თავმჯდომარეებათ დიდის ენტუზიაზმით არჩეულ იქმნენ მუშათა მოძრაობის ბელადნი—ამხ. ამხ. ლენინი, ტროცკი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ელიავა.

დეპოს კომუჯრედის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ალ. ქებაძე, რომელმაც მოუწოდა მუშებს და გლეხებს მჭიდრო ძმურ კავშირისაკენ საბოლოო მიზნების განსახორციელებლად და უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა. დაბოლოს ამხ. ქებაძემ გააცნო კონფერენციას დადგენილება დეპოს კომუჯრედისა—მათი ხვედრი ერთი თვის ნავთის გლეხებისათვის უსასყიდლოთ გადაცემის შესახებ, რასაც გლეხები მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

აღმასკომის თავმჯდომარის ივ. აბრამაშვილის მოხსენების შემდეგ აღმასკომის მუშაობის შესახებ, რომელიც კონფერენციამ სცნო დამაკმაყოფილებლად—დაავალეს აღმასკომს აღმოუჩინოს გლეხებს საჭირო დახმარება მასალით და ხელმძღვანელობით მდ. მტკვრის ნაპირებზედ დამბების გასაკეთებლად. მტკვარი ადიდების დროს დიდ ზიანს აყენებს გლეხებს, სრულებით ანადგურებს ჭირნახულს.

აღმასკომსვე დაევალა იშუამდგომლოს ვისთანაც საჭიროა, რომ სახელმწიფო დაზღვევა სახლებისა და მამულისა სოფლებში ხდებოდეს ნებაყოფლობით და არ ქონდეს იძულებითი ხასიათი.

სოფლის მწვავე საკითხების შესახებ, როგორიც არის სკოლის მოწყობა, კოოპერატივის აღორძინება, ტყის დაცვა, სანიტარული საქმე, დაზარალებულთა დახმარება და სხვა—ყველა ამის თავის სიმაღლეზედ დაყენებისათვის კონფერენციამ დაადგინა, ამორჩეულ იქნას კომისიები სოფლებში 3-დან 7 კაცამდე, რომელთაც დაევალოთ ამ საქმეების გაძღოლა და ხელმძღვანელობა გლეხთა საკეთილდღეოთ.

აგრონომმა ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება გაუმჯობესებული სასოფლო მეურნეობის შესახებ, რომელიც გლეხებმა დიდის გულდასმით მოისმინეს. აქვე კონფერენციამ სცნო მიზანშეწონილად, სოფლებში ამხანაგობების დაარსება, როგორც საშუალება გლეხების კეთილდღეობისა და კავშირის განხორციელებისათვის. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ კონფერენციამ დაადგინა გატარებულ იქნას ის ცხოვრებაში უცვლელად, რასაც თვით გლეხობა ყოველმხრივ ხელს შეუწყობს. მიზანშეწონილადვე იყო ცნობილი გლეხთა შორის ურთიერთ დამხმარე კომიტეტის დაარსება.

ხაშურელი.

გარე კახეთი (ს. მალხაზოვკა)

სოფ. მალხაზოვკა ანუ აზამბური მდებარეობს სართიჭალის რაიონში, დასახლებულია მალაკნებით, და შეიცავს ას ორმოცდაათ კომლს. სოფელი მდებარეობს მაღლობზე, მაგრამ ამის და მიუხედავად, ციებ-ცხელება არ ეშვებათ მცხოვრებლებს, გარე-კახეთის მალარიასთან მებრძოლ მეორე რაზმის მიერ ორი დღის მუშაობის დროს, იქნა გასინჯული 50-მდე მცხოვრებელი ამ სენით დაავადმყოფებული. მიზეზი ამ ავადმყოფობის გავრცელებისა არის ის მავნე მწერი, რომელსაც ეწოდება ციების კოღო და რომლის საშუალებითაც ასე სტიქიურად გავრცელდა ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ეს საშინელი სენი. საქართველოს თითქმის ყველა დაბალ ადგილებში.

ს. მალხაზოვკაშიაც არის ჭაობი, რომელიც ამ სოფლის ახლო მდებარეობს, საცა ჩაბუდებულია აუარებელი მავნე კოღო.

რადგან ჭაობი მაღლობზეა ამიტომ დიდ შრომას არ მოითხოვს მისი დაშრობა მით უმეტეს, რომ ჭაობამდის მიყვანილია ბუნებრივი არხი-ღელე. ამ ღელის საშუალებით შეიძლება ჭაობის დაშრობა, თუ კი გაიჭრა ღელიდან ჭაობამდის სამი ადლის სიგრძეზე არხი ეს საქმე თუ აქნობამდისინ არ არის მოგვარებული უნდა მიეწეროს მცხოვრებთა დაუდევრობას და უთაოობას. ახლა მაინც უნდა ენერგიულად შეუდგნენ ამ საქმის მოწესრიგებას. დიდი ძალა და დრო არ დასჭირდებათ, მთელი სოფლის მშრომელ მასსამ რომ ერთ დღეს მიაშუროს ჭაობს, საქმეს მოათავებენ.

მალხაზოვკის მცხოვრებთ თურმე არ ივიწყებენ ქინაქინის „სპეკულიანტები“ რომლებიც თვეში ერთხელ საბურთალოდან ეწვევიან ხოლმე ამ სოფელს დ სხვადასხვა სასოფლო ნაწარმოებზე სცვლიან ქინაქინას. შემდეგ მონაგარით დატვირთულნი მიემგზავრებიან ტფილისისაკენ. სად შოულობენ ქინაქინას? ალბად რომელიმე საწყობში ან ამბულატორიაში ბოროტ-მოქმედებას აქვს ადგილი.. საჭიროა სათანადო ორგანოს ყურადღება.

გამვლელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

სოციალურ დაზღვევის ნარჩენის იძულებითი გადახდევინების წესისათვის.

ამიერ კავკასიის სოც. ფედერატ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 17 თარიღით და 54 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-3-ე მუხლის ძალით საქართველოს შრომის სახალხო კომისარი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და იუსტიციის სახალხო კომისარი ადგენენ:

1. დამზღვევმა კასამ არა უგვიანეს შვიდი დღისა იმ დღიდან, როდესაც დამზღვეველი გადააცილებს სოციალური დაზღვევის მორიგი წვლილის გადახდის ვადას, უნდა შეადგინოს აქტი ასეთი დამაზღვევლის წინააღმდეგ.

2. აქტში აღნიშნულ უნდა იქნეს ის ვადა, როდემდისაც დამაზღვეველმა უნდა შეიტანოს მთელი გადაუხდელი თანხა, ამასთანავე იგი გაფრთხილებულ უნდა იქნეს, რომ უკეთუ არ გადაიხდის, მის წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ღონის-ძიება.

3. აქტში აღნიშნული ვადის გასვლისას, უკეთუ დამაზღვეველი ვალს არ გაისტუმრებს, დამზღვევმა კასამ მთელი გადასახდელი თანხა კურსის განსხვავებისა და საურავის ზედდართვით ნარჩენად უნდა ჩარიცხოს, რის შემდეგ გადახდევინება გადასცეს მილიციის სათანადო ორგანოს იქ, სადაც დამაზღვეველი იმყოფება.

4. გადასახდელის რაოდენობა განისაზღვრება იმ ნარჩენის თანხით, რომლის გადახდაც მოთხოვილია.

5. რაიონის მილიციის უფროსი, როდესაც იგი დამზღვევი კასისაგან მიიღებს აქტს ნარჩენის შესახებ, მოვალეა არა უგვიანეს სამი დღისა შეუდგეს ნარჩენის გადახდევინებას.

6. უკეთუ დამაზღვეველი ნარჩენს არ გადიხდის, რაიონის მილიციის უფროსი მოვალეა:

ა) აღწეროს და შეკრას მენარჩენის უძრავი ქონება, გარდა იმ ქონებისა, რომელიც ამ ინსტრუქციის მე 7 მუხლშია ჩამოთვლილი, გაყიდოს იგი საჯარო ვაჭრობით და აღებული ფულით ნარჩენი დაფაროს;

ბ) აღწეროს და საჯარო ვაჭრობით გაყიდოს მენარჩენის შენობანი;

გ) გადახდევინება მიაქციოს იმ თანხას, რომელიც მენარჩენს ერგება მესამე პირისგან, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებათაგანაც, აგრეთვე იმ თანხას, რომელიც საკრედიტო დაწესებულებაშია სახელდახელო ანგარიშზე.

შენიშვნა: ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ თანხებზე გადახდევინების მისაქცევათ, რაიონის მილიციის უფროსმა უნდა სთხოვოს სათანადო სასამართლოს გამოტანილ იქნეს შესაფერი დადგენილება.

7. არ შეიძლება აღწერილ და გაყიდულ იქნეს მანარჩენის შემდეგი ქონება:

ა) ზამთარში და ზაფხულში სახმარებლად საჭირო ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საცვალი და ოჯახში სახმარებლად საჭირო სხვა ნივთი;

ბ) სანოვაგე, რაც ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით ექვსი თვის განმავლობაში საჭიროა;

გ) სათბობი საჭმლის მოსახარშად და სადგომის გასათბობად, რაც ექვსი თვის განმავლობაშია საჭირო;

დ) წარმოების იარაღი და ინსტრუმენტი, რაც საჭიროა მენარჩენის პროფესიონალური საქმისა, ხელობისა, მსუბუქი და შინამრეწველობისათვის, უკეთუ ეს იარაღი და ინსტრუმენტი არსებობის სახსარია და არ წარმოადგენს შრომის საექსპლოატაციოდ სახმარებელ საგანს.

8. რაიონის მილიციის უფროსმა, როდესაც იგი აწერილ ქონებას საჯარო ვაჭრობამდე შესანახად გადასცემს მენარჩენს ან საგანგებოდ დანიშნულ პირს, უნდა გააფრთხილოს იგი, რომ ამ ქონების გაფლანგვისათვის დაისჯება სახალხო სასამართლოს მიერ ისევე, როგორც დაისჯება თანამდებობის პირის მიერ გაფლანგვისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის მე-116 მუხლის ძალით.

9. იძულებითი ღონისძიება სახელმწიფო დაწესებულების წინააღმდეგ ადგილობრივმა დამზღვევმა კასამ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი ამაზე წინასწარ მოელაპარაკება სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს.

შრომის სახალხო კომისარი. **ლ. დუმბაძე.**
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მაგ. **ი. ტალახაძე.**
იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შაბათს, 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე კომ. პარტ. ტფილისის კომიტეტის ბინაზე იწვევს საქართველოს კომუნისტური პარტიის, კომუნისტ. ახალგაზრდ. კავშირის და ტფილისის სამხედრო სასწავლებელთა სამმართველოს ბიუროების გაერთიანებულ სასწრაფო სხდომას. (სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია და სხვ.).

მოწვეული არიან: ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე, წარმომადგენელნი ცენტრალურ კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის კომუნ. ახალ. კავშირისა, სახალხო განათლების კომისარიატისა, პროფკავშირთა საბჭოსი და პერსონალურად შემდეგი ამხანაგები: ქართველიშვილი, მ. ოკუჯავა, გერასიმოვი, ეზიაშვილი.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სრულიად რუსეთის კომუნისტურ სტუდენტობის ბიუროს მდივნის ამხ. ვოსკანიანისა „კომუნისტური სტუდენტობის უახლოეს ამოცანებზე“. 2) მიმდინარე საქმეები.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტ. სააგ.-საპრ. განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი სთხოვს იმ პირთ, ვისაც საწინააღმდეგო აქვს რამე ქვემოხსენებულ პირთა შესახებ, რომლებიც მიიღებიან პარტიულ წევრთა კანდიდატებათ და კანდიდატობიდან წევრებათ გადიყვანებიან, მოგვაწოდონ მასალები საუბნო კომიტეტში სამი დღის განმავლობაში.

მიიღებიან კანდიდატებად: 1. ცურინოვი კონსტანტინე—უჯრედი № 1, 2) შა[illegible]რიანი მოვსეს გ. № 3, 3) ოგანიანცი მინას 12, 4) ბელიაევი ალექსანდრე პ. 8, 5) მა[illegible]შვილი ვლადიმ. ზ. 10, 6) სლეპცოვი პანტელეი ე. 10, 7) ნიკოლაევი ანდრეი ვ. 10, 8) [illegible]კი ტიმოფ ს. 19, 9) ზარდალიშვილი ივანე ფ. 25, 10) სარკისოვი ალექსანდრე მ. 5, 11) კაპელნიცკი ემილი ნ. 25, 12) ლუკიანოვი მიხეილი გ. 49, 13) ლეჟავა კაპიტონი 18, 14) მინასიანი არუთიუნი ს. 8, 15) ტარასენკო ნიკოლ. კ. 8, 16) ტკაჩენკო გრიგორი ნ. 1, 17) სორინი აბრამ ზ. 1, 18) მარქარიან ოჰანეს ნ. 1, 19) პაიაზეთიან გევორქ ა. 11, 20) წერეთელი კონსტანტინე ა. 2, 21) დემუროვი იოსები ა. 4 22) ეფიმოვი ალექს. პ. 7, 23) ლინეცკი აბრამ ი. 13, 24) ალეკიანი ვაღარშაკ 7, 25) სტეფანოვი სტეფანე კ. 7, 26) ისაკოვი ლევან ნ. 17, 27) ავეტისოვი გრიგოლი გ. 19, 28) პოლიანი ლუარს. გ. 16, 29) ლეჟავა ოლღა კ. 27, 30) ჩერნიავსკი ვლადიმ. ა. 5. 31) მოროზოვი ტიხონი ე. 5, 32) მეტრეველიძე კონსტ. დ. 5, 33) ანუფრიევი ანტონ ფ. 17.

გადაიყვანებიან წევრებად: 1) ქუზლოვი ივანე ა. 13, 2) ალლაძე ვლად. ლ. 43, 3) ევსენკო ევსეი ა. 35, 4) პეციუხა ანდრეი ვ. 17, 5) ზისკის იზრაილ მ. 17, 6) კამარაული ალექსანდრე 12, 7) ჩიტოიანი ბალდასარი ტ. 13, 8) კორა მაქსიმ ლ. 8, 9) გრიადუნოვი 8, 10) როჟდესტვენსკი ანტონი დ. 15.

პასუხისმგებელი მდივანი არუსტანოვი.
საღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი საყვედურს უცხადებს, პირად საქმეში შეტანით, ამხ. ბარონ ბიბინეიშვილს, უჯრედის სხდომებზე სისტემატიურათ დაუსწრებლობის გამო.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი საყვედურს უცხადებს ქვემოთხსენებულ ამხანაგებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კომუჯრედიდან გამოურკვეველ მიზეზებით უჯრედის სხდომებზე დაუსწრებლობის გამო: 1. ამხ. ვარძიელს, 2. ამხ. ხარებაძეს, 3. ამხ. ზახარაშვილს, 4. მოსესოვს, 5. მათიკაშვილს, 6. რადლევსკის, 7. თეთრაშვილს.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ოლიმპიადა და ივლიტა ამაშუკელნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ პირველის დაუვიწყარი ქმრის, მეორესი უსაყვარლესი შვილის

პავლე ლუკას ძე ამაშუკელის

ტრაღიკულად დაღუპვიდან ორმოცი დღის შესრულების თავზე სოფ. ამაშუკეთში შაბათს 11 ამა აგვისტოს დღის 12 საათზე - გადახდილი იქნება პანაშვიდი. 560 1—1

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის

სავალდებულო დადგენილება № 23.

9 აგვისტო 1923 წ.

ადგილობრივ გადასახადთა ა. წ. 2 აპრილის ა/კ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა:

ა. წ. 15 აგვისტოდან შემოღებულ იქმნას ქალაქში მცხოვრებთა თვითეული გაწერაზე გადასახადი ჩერვონის კაპეიკებში შემდეგი სახით:

1) მუშა-მოსამსახურეთ თვიური ჯამაგირით 10—25 საქონლის მანეთამდე და მათი ოჯახის წევრებს გადახდეს 5 კაპეიკი
2) მუშა-მოსამსახურეთ თვიური ჯამაგირით 25 საქონლის მანეთის ზევით, მათ ოჯახის წევრებს და დანარჩენ მოქალაქეთ გადახდეს 10 კაპეიკი.
3) სრულიად განთავისუფლდეს გადასახადისაგან:
ა) მუშა-მოსამსახურენი თვიური ჯამაგირით 10 საქონლის მანეთამდე, ოჯახის წევრებით.
ბ) უმუშევარნი სოციალურ-დაზღვევის უფლებით მოსარგებლენი ოჯახის წევრებით.
გ) სოციალურ უზრუნველ-ყოფაზე მყოფნი ინვალიდები და ღარიბ ლატაკნი ოჯახის წევრებით.

შენიშვნა: ოჯახის წევრად ითვლებიან: ქმარი და ცოლი, თუ თვითეულ მათგანს ცალკე შემოსავალი არ აქვს; შვილები 17 წლამდე და მშობლები საკუთარ შემოსავალს მოკლებულნი.

4. თვით გადამხდელნი და აგრეთვე სახლის პატრონები და კომენდანტები ვალდებულნი არიან სწორი სათანადო ცნობები მიაწოდონ სამისამართო მაგიდის თანამშრომლებს, რომლებიც მცხოვრებთა გაწერას აწარმოებენ.

5. ყალბი ცნობების მიწოდებისათვის დამნაშავენი დაისჯებიან დაჯარიმებით 25 ჩერვონის მანეთამდე, ან და დაპატიმრებით, ადმინისტრატიული წესით, ვადით 1 თვემდე.

აღმასკომის თავმჯდომარე: ხუხიშვილი.
მდივანი: ფალავა.

კრ. 561—2—1

შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **აქციონერთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება დანიშნულია მიმდინარე წლის მარიამობისთვის ოცისთვის ქალაქ ჭიათურაში, 12 საათზე, თეატრის შენობაში.**

განსახილველი საკითხები:

1. საზოგადოების გამგეობის 1922 წლის მოქმედების ანგარიში.
2 სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1922 წლის მოქმედების შესახებ.
3. საზოგადოების გამგეობის მოხსენება მიმდინარე 1923 წლის მოქმედების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.
5. 1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
6. თანამდებობის პირთა არჩევნები.

გამგეობა.

986—3—2

მათემატიკაში: (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრ.). ვამზადებ მოწაფეებს **აგრეთვე ქალებს საბებიო ინსტიტუტში** შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა, № 25. შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5. ნახვა და ჩაწერა 9—1 საათამდე 3—7 საათამდე. (კვ. 1058—1—1)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—16

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (501—25—14

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 491045 მიღებული საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტიდან და კავშირის წიგნაკი ნინო შავგულიძე-მიქავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1056 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი შრომის ბირჟისა გიორგი ამირიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, [illegible]ენშტეინის ქუჩა № 4